საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 მარტი, 2008 წელი.

№ 51 (5909)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

არსებული საარჩევნო სისტემით ოპოზიცია არჩევნებს ვერ მოიგებს

2

საქართველოში გაუარესდა პრესის, შეკრებისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლების ხარისხი

6

ნესტან პირთაძე:

ნინო ბურჯანაძის გადადგომის მოთხოვნა შეცდომაა!

3

დაიძლევა ჯი სილაჯიანე?

7

ლარის კურსის ამაღლებამ ცხოვრება გაგვიძვირა

მიხეილ სააკაშვილი დახმარებისთვის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

10

გიორგი შერვაშიძე:

ბადრი პატარკაციშვილის გზას სიამოვნებით გავაგრძელებდით, თუმცა ამის შესაძლებლობა არა გვაქვს

ვინ არიან ოსები?..

ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ოსების წარმომავლობისა და გენეტიკურად ნათესაური კავშირის შესახებ

კლასიკური გენეტიკური მარკერების გამოყენებით დამტკიცდა, რომ, კავკასიელების მსგავსად,

5

ჩრდილო ოსები მაღალ თვისობას ავლენენ რუსი ეთნიკური ტომების მიმართაც

ქვეყანა

● საქართველოს ისტორიაში „მრგვალმა მაგიდამ“ მოახერხა აქციების გზით ხელისუფლების გადაყენება და ხელისუფლებაში მოსვლა. არც ერთი ჭკუადმყოფელი ქართველი რევოლუციაზე არ ფიქრობს. საზოგადოების მოთხოვნაა, მოსახლეობას მიეცეს საშუალება, არჩევნების გზით მოიშოროს ეს ხელისუფლება

◎ პოზიცია

პარლამენტის წინ და პარლამენტის თავმჯდომარის მისალეგში 9 და 10 მარტს ოპოზიციის მიერ დაწყებული შიმშილობის აქცია გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციებს ფარტო მასშტაბი არ მიულია, საზოგადოებაში დაძაბულობის მუხტი რომ სულ უფრო მატულობს, აშკარაა. ის, რომ არც ერთი მხარე არ აპირებს დათმოგაზე წასვლას და დაძაბულობის განმუხტვის პერსპექტივა ჯერ არ ჩანს, ამ პროცესს გარკვეულ დრამატიზმს სძენს.

შიმშილობის აქციის ფონზე ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირებისა და მოვლენათა გავნითარების შესაძლო სცენარები „ინტერპრესნიუსმა“ პოლიტოლოგ კახა კაციტაძესთან განიხილა.

— ბატონო კახა, ოპოზიციის შიმშილობის აქცია მე-8 დღეა მიმდინარეობს. ბევრი ამტკიცებს, რომ ოპოზიცია ჩიხშია შესული, ხელისუფლებაც თავს იკავებს ისეთი მოქმედებებისგან, რომელიც ოპოზიციას დივიდენდებს შესძენს, თავად კი დაზარალდება...

— მიმდინარე პოლიტიკური პროცესის პროგნოზირება ძალიან ძნელია. ძნელია არა მარტო იმიტომ, რომ სათანადო მეთოდოლოგია არ არსებობს, ამ ტიპის პროცესთან მიმართებაში პოლიტიკური კვლევის მეთოდოლოგია ძალიან ძნელი გამოსაყენებელია.

ჩვენ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც ქიმიაში ავტოკატალიზის სახელით არის ცნობილი. ეს პროცესი იმდაგვარია, რომ თავად წარმოშობს საკუთარ თავს. ავტოკატალიზის პროცესი პროგნოზირებადია არა ჩვენი ცოდნის გამო, არამედ პრინციპულად შეუძლებელია, რადგან იგი წარმოქმნის თავის თავს.

საქართველოში ასეთი პროცესები ხშირად ყოფილა, ამ საპროტესტო აქციებისა და პოლიტიკური პროცესის გედს გადაწყვეტს ის, თუ რამდენად დიდი იქნება მოსახლეობის აქტივობა. ეს ეხება თგილისს და არა მხოლოდ დედაქალაქს. ახლა გაირკვევა, შესწევს თუ არა უნარი ქვეყნის მოსახლეობას, მიაღწიოს კონსენსუსს საკუთარ თავთან და მიაღწევინოს საკუთარ ელიტებს იმ სახის კონსენსუსისათვის, რაც ქვეყანას წაადგება.

ხელისუფლების ფანტასტიკურად უგუნური პოლიტიკის შედეგად მოსახლეობის განწყობა უკიდურესად რადიკალურია. ოპონენტები ერთმანეთთან კამათისას ხშირად ხმაროგენ სიტყვას „კონსტრუქციული“. ეს სიტყვა საქართველოში სამწუხაროდ სალანძღავ სიტყვად იქცა, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციუმი უკიდურესად რადიკალიზებულია, ხელისუფლება - უკიდურესად დაბნეული.

უგედურება კიდევ ის არის, რომ ხელისუფლებას არ ჰყავს ანალიზის სამსახური. ნოემბრის მოვლენების პროგნოზირებას დიდი ჭკუა არ სჭირდებოდა. ეს შემდეგ ხელისუფლებამ მოიგონა, რომ ხალხი ქუჩაში მხოლოდ ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიყვანა, მერე გაირკვა, რომ იანვარში უფრო მეტი ხალხი გამოვიდა.

მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს უსამართლობის განცდა და ეს განაპირობებს საზოგადოების რადიკალურ განწყობას. ხელისუფლებაც ხელჩაქნეულს ჰგავს. გაირკვა, რომ ლოტოტრონებიც არ ყოფილა საჭირო, ტყეში ფიჩხის შეგროვებაც სისულელე ყოფილა, ახლა ხელისუფლება კეთილი ძიას როლს თამაშობს, საკითხავი ახლა ის არის, რამდენად დაიჯერებს ამას საზოგადოება. ეს იმის დასტურია, რომ არც ხელისუფლებამ იცის რა გააკეთოს, ვერც ოპოზიციამ მოახერხა პროცესის პოზიტიურ კალაპოტში მოექცია ის განწყობა, რაც სოციუმშია.

— რამდენად შეძლებს ოპოზიცია ხელისუფლებისათვის ანგარიშგასაწევ პროცესად აქციოს მიმდინარე შიმშილობის აქცია?

— საქართველოს ისტორიაში „მრგვალმა მაგიდამ“ მოახერხა აქციების გზით ხელისუფლების გადაყენება და ხელისუფლებაში მოსვლა. არც ერთი ჭკუადმყოფელი ქართველი რევოლუციაზე არ ფიქრობს. საზოგადოების მოთხოვნაა, მოსახლეობას მიეცეს საშუალება, არჩევნების გზით მოიშოროს ეს ხელისუფლება. იმაზე, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეს ხელისუფლება არ უნდა, სერიოზულად არავინ დაობს. ხელსუფლება ახლა სწორედ იმას აკეთებს, რომ ხალხს ამაში შეუშალოს ხელი. მაჟორიტარულ სისტემაში ცვლილებების შეტანა თავადხელისუფლებას არ უნდა აძლევდეს ხელს. შეიძლება ვარსკვლავოვბაზე ჰქონდეს პრეტენზია არტისტს, რომელსაც არც ერთი კინოკრიტიკოსი არ იცნობს? არიან დეპუტატები, რომელთა არსებობა მარტო მე კი არა, საზოგადოებას არც კი გაუგონია.

— ჩვენი საზოგადოების არაერთი წარმომადგენელი ოპოზიციას ბრძოლის მეთოდს უწუნებს. ის, რომ ოპოზიცია 1980-90 წლების ბრძოლის მეთოდოლოგიას იმეორებს, ეს ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან შემორჩენილი ინერციაა, თუ ოპოზიციას ბრძოლის სხვა მეთოდი აღარ დარჩა?

— მაშინაც აპირებდნენ წმინდა მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარებას, მაგრამ მაშინ დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო მთავარი. ახლა წყდება საკითხი, იქნება თუ არა საქართველო დამოუკიდებელი და დემოკრატიული. როგორ კანონმდებლობასაც ხელისუფლება ირგებს, იქ დემოკრატიისათვის ადგილი ალარ რჩება. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მე ხშირად მსმენია ქვეყნის მართვის მექსიკური ვარიანტით ალფრთოვანება. მექსიკას ერთი „ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია“ 80 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა. ფორმალურად მექსიკა დემოკრატიული სახელმწიფო იყო, მაგრამ რეალურად ერთი პარტია მართავდა. მართვის ეს მოდელი ჩვენი სახელისუფლებო იდეოლოგებისათვის მისაღები ვარიანტია.

— ხომ არ დააზუსტებდით ვის გულისხმობთ?

— დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ საუბარია „თავისუფლების ინსტიტუტის“ შემადგენლობაზე. ჩემდა სამარცხვინოდ, ბევრი მათგანი ჩემი სტუდენტი იყო და მაშინაც კი, როცა ასეთ იდეებს გამოთქვამდნენ, სერიოზულად არ აღვიქვამდი. მაგრამ ახლა ცხადია, რომ მართლა აქეთკენ აპირებენ წასვლას. არსებული საარჩევნო სისტემით, ხალხმა როგორადაც არ უნდა მოინდომოს, არჩევნებს ვერ მოიგებს. ამან აიძულა ოპოზიცია, დაეწყო შიმშილობის აქცია. წინა სისტემა, რეგიონულ-პროპორციული აშკარად სჯობდა, მიუხედავად იმის, რომ მოგებულს მიჰქონდა ყველაფერი. ყველა რაიონიდან ერთი მაჟორიტარის სასარგებლოდ მილებული გადაწყვეტილების არგუმენტაცია კომიკურია – რაიონები უნდა იყოს წარმოდგენილიო. ჯერ ერთი, ისედაც არის წარმოდგენილი იმიტომ, რომ რაიონის მოსახლეობა აძლევს ხმას. მე არც ერთ ერთეულს არ ვაკნინებ, მაგრამ როგორ შეიძლება ქუთაისსაც ერთი მაჟორიტარი ჰყავდეს და რომელიმე პატარა რაიონს. თუ ასე უნდათ, გაეკეთებინათ ორპალატიანი პარლამენტი, როგორც ამერიკაში.

— თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია ახალი მემარჯვენეების მოთხოვნა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გადადგომის შესახებ?

— ამ საკითხთან დაკავშირებით მაქვს სპეციფიკური დამოკიდებულება, შესაძლოა უნიკალურიც. მე ქალბატონ ნინოს, როგორც მანდილოსანს და ადამიანს, პირადულად პატივს ვცემ. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნინო და ჩემი მეუღლე ნათესავები არიან, ჩემი პოლიტიკური პოზიცია ისეთივეა, როგორიც ჩემი თანაგუნდელების. მე ახალი მემარჯვენეების წევრი ვარ და გუნებრივია, ვდგავარ იმ პოზიციაზე, რა პოზიციაზე დგას დათო გამყრელიძე და საერთოდ ჩვენი, ახალი მემარჯვენეების პოლიტიკური გუნდი.

— ბატონო კახა, განვითარებული პროცესების ფონზე რას შეიძლება ველოდოთ უკეთეს ან უარეს შემთხვევაში?

— უარეს შემთხვევაში უნდა ველოდოთ იმას, რომ არჩევნები ჩატარდება ამ სისტემით და გაყალბებებით, ხელისუფლება რაიონებში მიილებს ხმათა უმრავლესობას. დღევანდელი სახელისუფლებო გუნდისათვის არ იყო მთავარი მარტო საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. პარლამენტში უმცირესობაში ალმოჩენის შემთხვევაში ხელისუფლებას გაუჭირდება მთავრობის დაკომპლექტება, ბიუჯეტის დამტკიცება. ამ შემთხვევაში მათ სხვა რეჟიმში მოუწევთ მუშაობა. ამ რეჟიმში საქმიანობა მათთარ შეუძლიათ, ამის არც ინტელექი და არც პოლიტიკური კულტურა აქვთ.

უარესი ვარიანტი არის ის, რომ დემოკრატიისკენ წინსვლა 5 წლით გადაიდება, ნატოში გაწევრიანებაში შეგვექმნება უამრავი პრობლემა. ეს არის პესიმისტური პროგნოზი. ოპტიმისტურ პროგნოზი ასეთია - ხალხი მიხვდება, რომ უნდა მოახერხოს და აიძულოს ხელისუფლება, მიილოს იმ ტიპის საარჩევნო სისტემა, რომელიც თავად ხალხს მისცემს საშუალებას აირჩიოს ის, ვინც უნდა, რომ იხილოს პარლამენტში.

— რამდენად რეალურია თქვენი ოპტიმისტური პროგნოზი?

— არჩევნების ჩატარების უფრო ხელისუფლების სცენარით ალბათობაა რეალიზებადი, ვიდრე ოპოზიციის. მაგრამ ეს არის ავტოკატალიზური პროცესი, რომლის მთავარი სუბიექტი ქართველი ერია. თუ ქართველმა ერმა მოახერხა მოქეგნოს მშვიდობიანი, კონსტიტუციური ფორმეები, რომლითაც შეაცვლევინებს ხელისუფლებას საარჩევნოკანონმდებლობას, მაშინ წარმატების მიღწევის გარკვეული ალბათობა მართლაც არის.

** კობა გენდელიანი**

არსებული საარჩევნო სისტემით ოპოზიცია არჩევნებს ვერ მოიგებს

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში მიმართვა გაუგზავნეს

მერვე დღეა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წევრები შიმშილობენ საქართველოში დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით. პარტიის ოფისში 16 ადამიანი შიმშილობდა, მათ შორის 4 სამეგრელოდან და იმერეთიდან იყო ჩამოსული. შემდეგ ისინი ზუგდიდსა და იმერეთში დაბრუნდნენ და იქ განაგრძობენ მშვიდობიანი პროტესტის უკიდურეს ფორმას, ორმა ადამიანმა კი ჯანმრთელობის გაუარესების გამო შეწყვიტა შიმშილობა. დღესდღეობით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში 10 ადამიანი შიმშილობს.

ბრიფინგის დაწყებამდე ცუდად გახდა რამდენიმე მოშიმშილე. ოფისში სასწრაფო სამედიცინო დახმარება მოვიდა.

ოდნავ მოგვიანებით დაიწყო ბრიფინგი და სიტყვით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ძარდავა. მან საგანგებო განცხადებით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში:

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აცნობიერებს საქართველოს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო და საშინაო პრობლემებს, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებასა და ჩვენი ქვეყნის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხს.

მაშინ, როცა ქვეყანაში მიმდინარეობს შიმშილობის ფორმით გამოხატული საპროტესტო აქციები, მმართველ პარტიას, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ჩიხში შეჰყავს პოლიტიკური პროცესი და ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. კერძოდ, ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ნორმების დარღვევით მილებული კონსტიტუციური ცვლილებები არათანაბარ პირობებში აყენებს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს, არ უზრუნველყოფს კონკრეტულ პოლიტიკურ გარემოს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, როგორც დემოკრატიულ, დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული უძველესი პოლიტიკური ორგანიზაცია. აცნობიერებს რა საკუთარ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე, მოგმართავთ თხოვნით, თქვენს ხელთ არსებული საშუალებებით, მოახდინოთ ზემოქმედება ქვეყნის ხელისუფლებაზე. რათა მან შეასრულოს საკუთარი ხალხისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებები – უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნების ჩატარება საქართველოში“.

როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში აღნიშნეს, ხელისუფლებას თავისი ხალხისა არ ესმის და ამიტომ გადაწყვიტეს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიეგმართათ. საქართველოს პრეზიდენტიც ამ დროისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

მირანდა ფორჩხიძე

◎ სიტუაცია

ვიაჩესლავ ეშბა: სოხუმის აეროპორტი მზადაა, მიილოს თვითმფრინავები, რომლებიც სოჭში დაფრენას ვერ შეძლებენ

სოხუმთან ახლოს მდებარე ბაბუშერას აეროპორტი მზადაა, ნებისმიერ დროს მიილოს სამოქალაქო და სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებიც რაღაც მიზეზების გამო სოჭში დაფრენას ვერ შეძლებენ. აღნიშნული განცხადება სეპარატისტთა კომპანია „აფხაზური ავიახაზების“ დირექტორმა ვიაჩესლავ ეშბამ გააკეთა.

— ახლა აკრძალული გვაქვს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რეგულარული და ჩარტერული რეისების გაგზავნისა და მილების უფლება, თუმცა ასეთი ვეტო არ ვრცელდება იმ თვითმფრინავებზე, რომლებსაც კატასტროფა ემუქრებათ იმის გამო, რომ ვერსად დაფრენას ვერ ახერებენ. მათთვის ჩვენი საჰაერო სივრცე ყოველთვის ღიაა, – აცხადებს ეშბა რუსულ მედიასთან საუბრისას.

მისი თქმით, სოხუმის აეროპორტში მოქმედებს სადღეღამისო სადისპეტჩერო სამსახური და რამდენიმე საფრენი ბილიკი. ამიტომაც სოხუმის აეროპორტს საერთო მასით 125 ტონა თვითფრინავების მილება შეუძლია. „ეს საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება“, – აცხადებს ეშბა.

– თუმცა თუკი ბაბუშერას აეროპორტი სრული დატვირთვით დაიწყებს მუშაობას, 15-წლიანი უმოქმედობის ამოსავსებად გლობალური სახსრები იქნებას საჭირო, – აცხადებს ეშბა და დასძენს, რომ ახლა სოხუმის აეროპოტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მიილოს აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ავიარეისების მილება-გაშვების უფლება.

– კერძოდ, საუბარია ბაბუშერის აეროპორტის სოჭის სათადარიგო აეროპორტად გადაქცევაზე. ეს კი ოლიმპიური თამაშების დაწყების წინ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, – დასძენს ეშბა.

აღსანიშნავია, რომ დღეს სოხუმის ბაბუშერას აეროპორტიდან ყოველდღიურად სრულდება ერთი რეისი აფხაზეთის მაღალმთიან სოფელ ფსხუში. ამას გარდა, აქ ეშვებიან გაეროს სამშვიდობო მისიის ვერტმფრენები „მი-8“.

ჯი-ეიჩ-ენი

სახელმწიფო

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს სასაზღვრო ზოლი იყიდება. ათასობით ჰექტარი მიწა უცხოელებმა უნდა ჩაიგდონ ხელში. ეს მოცემულია იმ ავადსახსენებელ 50-დღიან ე. წ. სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამაში. წარმოიდგინეთ, ეს მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ ჩვენმა მეგობრებმა შეცდომებით მიხეილ სააკაშვილი 5 წლით დატოვეს

რადიკალური ოპოზიცია

პარლამენტი კვლავ მოშიმშილეთა ალყაშია. ძირითად მოთხოვნებს პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომის მოთხოვნა დაემატა. ლეიბორისტული პარტია შიმშილობას არ შეერთებია და ოპოზიციის ქმედებას არათანამიმდევრულად აფასებს. შალვა ნათელაშვილმა ოპოზიციურ პარტიებს არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა, მაგრამ ამაზე მათგან დადებითი გამოხმაურება ჯერჯერობით არ მიუღია.

პოლიტიკურ რეალობასა და მოვლენების შესაძლო განვითარებაზე ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს ნესტან კირთაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

ნესტან კირთაძე:

ნინო ბურჯანაძის გადადგომის მოთხოვნა შეცდომაა!

— როგორ შეაფასებთ შიმშილობის აქციას და რამდენად ადეკვატურია ოპოზიციის მოთხოვნები?

— უწინარეს ყოვლისა, თქვენი გაზეთის მეშვეობითაც ჩვენს კოლეგებს სოლიდარობას ვუცხადებთ. რასაკვირველია, ეს ძალზე მძიმე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მაგრამ დღემდე ვერ მივხვდი, თუ რა მოთხოვნებზეა ლაპარაკი. ერთნი ითხოვენ ნინო ბურჯანაძის გადადგომას, მეორენი კი ამბობენ, ეს ჩვენთვის მთავარი პრობლემა არ არისო, ხოლო დანარჩენებს კი მემორანდუმის ორი პუნქტის შესრულება სურთ. ამიტომ შემეძმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციის ამ ფლანგმა მოთხოვნები ვერ ჩამოაყალიბა და საზოგადოებაში ის სიგნალი ვერ გაუშვა, რომელიც საყოველთაო მხარდაჭერას მოიპოვებდა. ასე რომ, მიჭირს თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან ოპოზიციაში ასეთი სახის თავგანწირვაზე ერთი პოზიცია არ არის.

— მოშიმშილე ოპოზიციონერები დიალოგის ჩიხში შეყვანაში ნინო ბურჯანაძეს ადანაშაულებენ და მის გადადგომას ითხოვენ.

— ქართულ საზოგადოებას ახსოვს, ოპოზიციამ მემორანდუმზე ხელმოწერა ჩვენს პარტიასაც სთხოვა. ჩვენ ამ მემორანდუმზე ხელი არ მოვაწერეთ, იმის გამო კი არა, რომ სხვისი დოკუმენტი იყო, არამედ იმიტომ, რომ ლოკალურ მოთხოვნებს ითვალისწინებდა და რაც მთავარია, ამ ხელისუფლებასთან დიალოგზე იყო ლაპარაკი. ვფიქრობთ, ხელისუფლება, რომელიც არალეგიტიმური და დე ფაქტოა, საქართველოს 7 ნოემბერი მოუწყო და 4 წლის განმავლობაში ყველა უბედურება და წისქვილის ქვა დაატრიალა. ეს ის ხელისუფლებაა, რომელსაც ქვეყანაში არანაირი მორალური და პოლიტიკური საყრდენი არა აქვს. ახლა კი მას იურიდიული საყრდენიც გამოეცალა. ჩვენ ამ ხელისუფლებას არა ხატოვნად, არამედ აბსოლუტურად სწორად დე ფაქტოდ ვაღიარებთ. ოპოზიციამ თავის თავს უფლება არ უნდა მისცეს, რომ ხელისუფლებას დიალოგსა და ლოკალურ საკითხებზე ელაპარაკოს. გაერთიანებული ოპოზიცია უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი არა ერთიან სიაში, არამედ ერთიან სტრატეგიულ პოზიციაში, რომ ამ ხელისუფლებისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ და მისი გადადგომა მოეთხოვათ. ქართველი ხალხი ქუჩაში გამოიყვანა არა ვინმეს „კარგმა ტიპობამ“ ან „ცუდმა ტიპობამ“, არამედ მისი ოჯახის, შვილებისა და ქვეყნის უპერსპექტივობამ. ასეთი ერთიანი უზარმაზარი საპროტესტო ტალღა, რომელიც საქართველოში რამდენიმე თვის წინათ იყო, ახლა პრაქტიკულად ნიჰილიზმმა მოიცვა. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ცუდი ფაქტია, ვიდრე სხვა რომელიმე მოვლენა.

— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ამ სიტუაციის განმუხტვას არ ეცდება და არ დათმობს?

— არა, გატონო. ხელისუფლებამ ევროპული სადამკვირვებლო მისიებისგან მითითება უკვე მიიღო. ის აპრილის დასაწყისში ბუქარესტის სამიტის მიჯნაზეა, რომელზეც სამწუხაროდ, უკრაინასა და საქართველოს MAP-ის პროგრამაზე უარს ეუბნებიან. ხელისუფლება ევროპამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკვე პრაქტიკულად კუთხეში მიაყენეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლება რაღაც დათმობაზე წასვლას შეეცდება, მაგრამ ეს მისი კეთილი ნება იქნება და არა ხალხის მრისხანე ნება, რომელიც ხელისუფლების გადადგომას ითხოვდა. სიტუაცია პოლიტიკურად არ იცვლება და ისევ ხელისუფლება კარნახობს პირობებს, თუმცა ვიზუალურად და პოლიტიკურ ლექსიკაში დასავლეთის ზეწოლის გამო ცოტა შეიძლება დათმოს.

ამ ხელისუფლებისთვის საქართველოს მომავალი ხალხს უნდა ეკარნახა, მაგარმ ახლა ისევ ის კარნახობს საარჩევნო კანონმდებლობას, პოლიტიკურ რეჟიმს და სხვა. ხელისუფლება განსაზღვრავს უმრავლესობის შემადგენლობასა და ფორმას, თუ ვინ რამდენი ადამიანი უნდა შეიყვანოს პარლამენტში. სამწუხაროდ, ამ ოპოზიციამ გაუშვა შანსი იმისა, რომ ქართველი ხალხის ნებით ოპოზიციურ ძალებს საქართველოს მომავალი გადაეწყვიტათ. ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც მოქალაქეობრივი პროტესტითა და ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში გამოსული 200 ათასი ადამიანი ერთხელ, ორჯერ, ასჯერ უკან გაუშვა. ოპოზიცია ხალხს დაპირდა, რომ ინაუგურაცია არ შედგებოდა, მაგრამ სინამდვილეში ის ზარ-ზეიმით ჩატარდა და იპოდრომზე შეყრილი ხალხი 15 წუთში უკან გააბრუნა. ასეთი რამ იშვიათად ხდება. ქართველი ხალხის ასეთი პროტესტი, პათოსი, ერთხმოვანება უკან დარჩა ზოგისთვის ცუდ, ზოგისთვის პრინციპულ და ზოგისთვის კარგ მოგონებად, მაგრამ საქართველოსთვის ეს უზარმაზარი შეცდომაა.

— შალვა ნათელაშვილმა ოპოზიციურ პარტიებს არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდა. თქვენს პარტიას საარჩევნოდ რა სტრატეგია აქვს?

— ჩვენ 20 მარტამდე ოპოზიციონერ კოლეგებს დაველოდებით, რომ მათ პოზიცია ჩამოაყალიბონ. ჯერჯერობით მხოლოდ სატელევიზიო შეხმატკბილების გარდა ჩვენს კოლეგებს პოზიცია არ გამოუკვეთავთ, თუმცა ჩვენი მხრიდან ეს მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ასეთი საარჩევნო კანონმდებლობით, საარჩევნო ადმინისტრაციითა და ძალადობის ასეთ პოლიტიკურ რეჟიმში ბოიკოტის გამოცხადებით, ამ ხელისუფლების მშვიდობიანად წასვლის პერსპექტივა კიდევ უფრო რეალური იქნებოდა. თუკი ასეთი რამ არ მოხდება, ბრძოლა, მარათონი დაიწყება, წამმზომი ჩაირთვება და ამ ბრძოლაში ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას. ვფიქრობ, უშელავათოდ ვიბრძოლებთ, რომ პარლამენტში ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს, და არა ნაციონალური მოძრაობისა.

— მოშიმშილეები ფიზიკურად ძალზე დასუსტდნენ და მათი ჯანმრთელობა საფრთხეშია. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს პროტესტის ეს უკიდურესი ფორმა და რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი?

— რასაკვირველია, ეს პროტესტის უკიდურესი ფორმაა და საზოგადოებაში, პოლიტიკურ პარტიებში თანაგრძნობის გამომწვევია.

— მაგრამ ჯერჯერობით უშედეგო...

— რა თქმა უნდა, უშედეგოა. თამარ კინწურაშვილის გადადგომის მოთხოვნით გაგრძელდა მიხეილ სააკაშვილის სისტემის ხელისუფლებიდან წასვლის მოთხოვნა და ამან, რასაკვირველია, საერთო გულგატეხილობა გამოიწვია.

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს სასაზღვრო ზოლი იყიდება. ათასობით ჰექტარი მიწა უცხოელებმა უნდა ჩაიგდონ ხელში. ეს მოცემულია იმ ავადსახსენებელ 50-დღიან ე. წ. სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამაში. წარმოიდგინეთ, ეს მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ ჩვენმა მეგობრებმა შეცდომებით მიხეილ სააკაშვილი 5 წლით დატოვეს. მათზე მკაცრად ვერ ვიტყვი, რადგან ისინი შიმშილობენ. როცა ეს მიწები გაიყიდება, როგორ ფიქრობთ, ეს უნდა ეპატიოთ? რით გამოისყიდიან ამას ჩვენი მეგობრები? რით უნდა გამოისყიდოს ეს მთლიანად საქართველომ? ამ 50-დღიანი პროგრამის ფარგლებში საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი სასაზღვრო ზოლი გაიყიდება, რაც საქართველოს უახლეს ისტორიაში უმძიმეს ფურცლად შევა, ამიტომ მათი ემოცია, გადაწყვეტილება გასაგებია, მაგრამ თუ ამის მიზანი ნინო ბურჯანაძის გადადგომა-არგადადგომის საკითხი იქნება, ესეც უკვე შეცდომაა და ისინი ჯანმრთელობას იზიანებენ.

შიმშილობა და ხალხის მასობრივი გამოსვლაც ამ ხელისუფლების, მიხეილ სააკაშვილის კოლონიური რეჟიმის შეცვლის მოთხოვნით უნდა მომხდარიყო და არა ლოკალური განცხადებებით. ჩვენ ეს თავგანწირვა ასე გვესმის.

ესაუბრა
მაია ხორგუაშვილი

პარტიებსა და მოძრაობებში

გიორგი შერვაშიძე:

ბადრი პატარკაციშვილის გზას სიამოვნებით გავაგრძელებდით, თუმცა ამის შესაძლებლობა არა გვაქვს

უამრავი პარტიის ფონზე კიდევ ერთი, გაერთიანებული საქართველოს დემოკრატიული პარტია ყალიბდება. ეს პარტია რეგისტრაციაში ბადრი პატარკაციშვილის სიცოცხლეშივე გატარდა, თუმცა რეალურად რამდენიმე დღეში, პარტიის ყრილობის შემდეგ ამოქმედდება.

პარტიის სავარაუდო თავმჯდომარედ გიორგი შერვაშიძე მოიაზრება. მისი თქმით, ის პარტიაში გაწევრებული არ ყოფილა. ამ პარტიაში მას საკმაოდ დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, რომელთა ინტერესები, ძირითადად, აფხაზეთი იყო. მისი თავმჯდომარედ დასახელება კი სწორედ მათი შეხვედრისა და იდეების გაზიარების შემდეგ გადაწყდა.

ახლადშექმნილი პარტიის სავარაუდო ლიდერი კონკრეტულად ვერ ამბობს, თუ რა განსხვავებული გეგმები და სტრატეგია ექნება მის გუნდს, რადგან სხვა პარტიების გეგმებში კარგად გაცნობიერებული არ არის, თუმცა დაზუსტებით იცის, რომ მისი პარტიის ძირითადი თემები მაინც აფხაზეთი, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვა იქნება.

„ვეცდებით, ჩვენს ქვეყანას რაიმე დადებითი და ღირსეული შევძინოთ. ჩვენი მიზანი, პარტიის სახელწოდების გამო გაერთიანებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრებაა. პროგრამა და სტრატეგია შევიმუშავეთ, რომელსაც დეტალურად, რამდენიმე დღეში პროგრამის პრეზენტაციაზე გავაჟღერებთ“.

გიორგი შერვაშიძემ აქვე აღნიშნა, რომ მისი პარტიის წევრები ბადრი პატარკაციშვილის გზას და იდეებს ვერ გააგრძელებენ, რადგან ამის შესაძლებლობა მათ არა აქვთ.

„ბადრი პატარკაციშვილის იდეები რომ გავაგრძელოთ, მასავით უნდა ვაზროვნებდეთ და მისნაირი შესაძლებლობა უნდა გვქონდეს. კარგია, თუ ეს ასე იქნება, თუმცა, ვფიქრობ, ვერ შევძლებთ“.

მისი თავმჯდომარედ დამტკიცების შემთხვევაში მოადგილედ, სავარაუდოდ, ვალერი ქობულიას, ხოლო გენერალურ მდივნად დავით შუკაკიძეს ასახელებს.

გიორგი შერვაშიძე სხვა პოლიტიკურ გუნდებთან, მათ შორის გოჩა ჯოჯუას პარტიასთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს, თუმცა ვინმესთან გაწევრებას კატეგორიულად უარყოფს.

ჯერ არც ის იციან, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში.

„ყველაფერი მაინც დროის ფაქტორია. ჩვენ ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. ჯერ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაში საფუძვლიანად უნდა გავერკვეთ და პოლიტიკურ სიღრმეში ჩავიხედოთ. თუ დაახლოებით მაინც გვეცოდინება ხალხის აზრი და ჩავთვლით, რომ არჩევნებში მონაწილეობის საფუძველი გვაქვს, გადაწყვეტილებას შემდგომ მივიღებთ“.

გიორგი შერვაშიძე ოპოზიციურ ლიდერებს სოლიდარობას უცხადებს და ფიქრობს, რომ პროტესტის ეს უკიდურესი ფორმა საერთო პოლიტიკურმა და არაპოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია:

„პრობლემის მოსაგვარებლად როგორც შიმშილობა, ასევე დიალოგია საჭირო. დიალოგის შანსი კი, ჩანს ამოწურულია. ვისი მიზეზით — ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ სხვა გზა აღარ დარჩათ, თორემ პროტესტის უკიდურეს ფორმას არ მიმართავდნენ“.

სოფიო გოგლიძე

დღეს

● ადექით, ჭამეთ და მოლონიერდით უნამუსოთა ჯინაზე! წინ საპარლამენტო ბრძოლები გელით. არჩევნებიც ბრძოლაა, ბრძოლას ძალა სჭირდება. მაჟორიტარულ სისტემასაც გამოყენება უნდა. ბოიკოტი კი არ გამოვა. ხელისუფლებამ უკვე თადარიგი დაიჭირა მის წინააღმდეგ

◎ თვალსაზრისი

აურზაური არაფრის გამო და დავიწყებული საპარლამენტო არჩევნები

ხელისუფლება რომ საპარლამენტო არჩევნებიდან ხალხის ყურადღების აფხაზეთზე გადატანას ეცდებოდა, მოსალოდნელი იყო. მაგრამ თუ ჩვენი პოლიტიკური ექსპერტები, წინასაარჩევნო გაწამაწიის ჟამს, ამ არაფრის გამო აურზაურში აჰყვებოდნენ მას, ეს კი მოულოდნელი გახლდათ. და არის პროგნოზთა შეხლა-შემოხლა:

ცნობს თუ არა რუსეთი, კოსოვოს პრეცედენტის კვალდაკვალ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობებს?

არა, ჯერ არა ცნობს, მერე ცნობს.

ეშინია, რომ თვითონაც არ შეექმნას პრობლემები, მაგალითად, ჩეჩნეთში (რომელიც ალარ არსებობს!.

არიქათ, უკვე გააუქმა აფხაზეთ-ოსეთთან ემბარგო და რაღაც ეშმაკური "სტატუსებიც" მიანიჭა მათ!

წავიდეთ, დავიბრუნოთ აფხაზეთი!

ოჰ, ეს მუხთალი გაღაფში, რა დროს გაათავისუფლა „ჟურნალისტი", რომ ჩვენს ფაქტობრივ პრეზიდენტს თავისი „სპეცოპერაციით" ანგელოზები დაეფრთხო დე ფაქტო თვითმარქვიასთვის!

ინგა გრიგოლია კი მაინც ეკითხება ტრიბუნაზე მჯდომ ახალგაზრდას: „წახვალთ თქვენ აფხაზეთში?" ახალგაზრდამ გაურკვევლად რაღაც წაილულლულა. მანამდე კი ასევე გაურკვევლად ლულლულებდნენ მაგიდის ორივე მხარეს ჩამწკრივებული მოპაექრენი, „პრეზიდენტთან" ახლად ნასტუმრალი გოგი თოფაჩიასა და თვითონ პრეზიდენტობის 0,016-პროცენტიანი კანდიდატყოფილი გია მაისაშვილის ჩათვლით, სანამ გეუან გუნავამ, მემორანდუმის საჭირბოროტო საკითხების შეხსენებით, დისონანსი არ შეიტანა აფხაზეთის „პროგლემით" გამსჭვალულ მეთოქეშოუეთა თათბირში.

ქალბატონმა ინგამ რამდენჯერმე სცადა აფხაზეთის თემაზე დაებრუნებინა ბატონი გეუანი, მაგრამ ამაოდ. ამასთემასაც და ბატონი ნიკას ყმაწვილურ სახესაც.

გაში, ნიკა რურუა, როგორც ყოველთვის გაუცინარი, მარჯვნივ ეჯდა თოქ-შოუს წამყვანს. მემარჯვენეობა, ახლადშექმნილი კიდევ ერთი მემარჯვენე პარტიის, რა თქმა უნდა, ლიდერის აზრით, გამარჯვებასთან ყოფილა დაკავშირებული, მემარცხენეობა – მარცხთან. რაც შეეხება გაუცინროობას, იგი მეტ სერიოზულობას მატებდა თოქ-შოუს

სად იყო, სად არა, ვილაცამ, მაგიდის მარცხნიდან, მარჯვნივ მჯდომი სერიოზულსახიანი „ოპონენტების" მისამართით, ისროლა უადგილო და დაუგებმავი ფრაზა: „აფხაზეთის დაბრუნების რა კონკრეტული გეგმა გაქვთო". მემარჯვენეები შეცბნენ. ნიკა რურუას, ის იყო, სიტყვა ბანზე უნდა აეგდო, რომ ინგა გრიგოლიამ, – შაბაშ! მართლა ჟურნალისტია! – იგივე კითხვა ტყვიასავით დაახალა „თავდაცვისა და უსაფრთხოების" კომიტეტის თავმჯდომარის გაუცინარ მოადგილეს.

თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო. სჯობდა გვეთქვა, თავად იყო ძმარიო, ზედ დაასხეს კვაწარახიო, მაგრამ ანდაზა ასე ამბობს. ბ-ნ ნიკას, ისედაც გაუცინარს, ამ კითხვის შემდეგ რაღა გააცინებდა?! მეორედ ასეთ მოუმზადებელ თოქ-შოუზე ალარ დათანხმდება.

არადა, თურმე, გეგმა არსებობს, თანაც იმავე „სპეცოპერაციის" შესრულებით: ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერის ქალბატონ თამარ ჩხეიძის აზრით, მაგალითად, „ხელისუფლება რომ ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებდეს, მას სასწრაფოდ უნდა აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა, რაც შესაძლებელია და ჩვენს ძალებშია. არ გამოვრიცხავ რაღაც დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმასაც, მაგრამ უპირველესად, ვფიქრობ, რომ ხელისუფლების მოვალეობაა და მას ძალა შესწევს, ყოველგვარი ომის გარეშე, სპეცოპერაციით პროგლემა მოაგვაროს". ქალბატონ თამარს უნდა, ჩვენი გაზეთის საშუალებით გააპროტესტოს „საყოველთაოდ გავრცელებული და ყველას მიერ აჩემებული თეორია, რომ აფხაზეთის დაბრუნება ეკონომიური მოქლიერებით არის შესაძლებელი. იმის გარდა, რომ სულელურია, ეს ანტისახელმწიფოებრივი თეორიაცაა... რას ჰქვია, იმათ რომ მოუნდეთ ჩვენთან ყოფნა. ეს არის უპირობო ერთობა, ერთი ქვეყანა და არ შეიძლება მის ნაწილებს რაიმე უნდოდეთ და არ უნდოდეთ".

რუსთაველის პროსპექტზე გაშლილ კარვებში კი წვანან მისავათებული მოშიმშილენი და ერთი აზრი უტრიალებთ თავში: როგორ მოიცილონ თავიდან საკუთარი „გაღაფში". „წადი! წადი! ფანდარასტ!" მაგრამ შიმშილობით როგორ მოიცილებ იმას, ვინც თვითონ გაშიმშილებს? სად გაგონილა უნამუსოს ნამუსზე შეგდება? უნამუსოს ნიფხავს ხდიდნენ, რაც არ ეცვა, რას გახდიდნენო.

პირიქით: ადექით, ჭამეთ და მოლონიერდით უნამუსოთა ჯინაზე! წინ საპარლამენტო ბრძოლები გელით. არჩევნებიც ბრძოლაა, ბრძოლას ძალა სჭირდება. მაჟორიტარულ სისტემასაც გამოყენება უნდა. ბოიკოტი კი არ გამოვა. ხელისუფლებამ უკვე თადარიგი დაიჭირა მის წინააღმდეგ. 0,016-პროცენტიანი „ოპოზიციის" მონაწილეობა უკვე გარანტირებული აქვს. სურვილის შემთხვევაში, თავისი ნება არ არის, იგი 16,00 პროცენტად გადაიქცევა. სხვა 0-ებიც გამოჩნდებიან. საქართველოში რა დალევს ნულებს?!

აფხაზეთი კი ცოტა ხანს მოიცდის. თვითონ რუსეთი არ დაუშვებს აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას, არა იმიტომ, რომ თავისი სეპარატიზმებისა ეშინია. მას საიმისო ძალა შესწევს, რომ ჩეჩნეთივით გასრისოს ყველა, ვინც შიგნით ხმას აღიმაღლებს, არამედ იმიტომ, რომ საშინლად არ უყვარს დამოუკიდებლები. მას თავისთვის უნდა აფხაზეთი და ოსეთი, რომლებიც დამოუკიდებლობის შემთხვევაში ხელიდან წაუვლენ. მათ მიმართ ემბარგო კი არასდროს ჰქონია და, რაც არ ჰქონია, რას მოხსნიდა?! აფხაზეთისა და ოსეთის ხელისუფალნი უკვე მიხვდნენ ამას და ახლა იმაზე იმტვრევენ თავს, როგორ დაალწიონ თავი ძალად მაცხონე „მფარველს". ჩვენ კი ის დაგვრჩენია, რომ არ ავყვეთ ხელისუფლთა მიერ პროვოცირებულ პანიკას და მივხედოთ საპარლამენტო არჩევნებს.

ომარ ხახაშვილი,
ბელგიის მოქალაქე.

◎ რეპლიკა

ვის – «განათლება» და ვის – ციხე?

ამბობენ, ბოლო სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში განათლების რეფორმას ათმილიონობით ლარი (ან, იქნებ დოლარიც?) მოხმარდაო. ამ „დანახარჯს" ერთობ სასურველად მიიჩნევდა ადამიანი, თუ, ცხადია, იგი (ეს „დანახარჯი") მიზნობრივი იქნებოდა. ასეც იყოო, ამბობენ „მავანნი" და თავს იწონებენ იმ გაუქმებული სასწავლებლებითა და ფილიალებით, იმ ე.წ. „ატესტაციებითა" და „ლოტოტრონებით", პენსიონერთა ახალი „საპენსიო ფორმულირებით", მოსწავლეთა ქცევის ახალი „წესებით" და უამრავი „სიახლით", რომელთაც აგერ, ახლახან, თავგამოდებით ვუწევდით რეკლამას, მათს ავტორებს კი ხოტბა-დიდებით ვამკობდით!

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, (სულ ახლახანძ ჩვენმა ძვირფასმა პრეზიდენტმა ფარდა ახადა „აბსურდის თეატრს" და გაირკვა, რომ ყველაფერი ეს „ბლეფი" ყოფილა! არაპროფესიული, ჰაიჰარა „კანონებითა" და დადგენილება-ბრძანებულებებით ვანადგურებდით, თურმე, საყოველთაო მიღებულ-აპრობირებულ უნარ-ჩვევებს, გამოცდილებას. ყოველნაირად ვცდილობდით სკოლისთვის „მოგვეცილებინა" გამოცდილი პედაგოგები (პედაგოგები!!ძ და ათასნაირი მაქინაციებით შეგვეცვალა ისინი ახალი კადრებით, ახალი სამეურვეო (სხვა სხვანაირიძ საბჭოებითა და „კომიტეტებით"! იმ მიზეზით, სკოლის შენობებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში „მზრუნველი ხელი" არ შეხებიაო, დავიწყეთ „აღმშენებლობითი" კამპანიები და თავი მოვიწონეთ ამ კომპანიებით"! ათეულობით სკოლაში ჩატარდა ეს პროცესი, მაგრამ ყველაფრის დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ „ახალდამშვენებული" საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელახლა ასაშენებელ-დასამშვენებელი შეიქნა, ზემოთ ნახსენები „ლოტოტრონით" შერჩეული დირექტორები და სამეურვეო საბჭოები კი გევრგან ახლად ასარჩევი გახდა! დაისტამბა ძვირადღირებული, „ძვირფასყდიანი" სახელმძღვანელოები და გევრმა „ბიზნესმენმა" ფული გააკეთა ამით. პედაგოგური გამოცდილება კი განზე დაგვრჩა! არადა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გამოცდილ მასწავლებელს ჰქვია პედაგოგი და აღმზრდელი, და არა უბრალოდ, მასწავლებელს! პედაგოგი საგნის სწავლებასთან ერთად, წლების მანძილზე მიღებული პრაქტიკული და თეორიული გამოცდილებითა და შესისხლხორცებული პედაგოგიური მეთოდებით აჩვევს შეგირდებს ქცევის კულტურას, ცოდნის შეძენის სურვილს, საერთო-საკაცობრიო ღირებულებებს, პატრიოტიზმსა და კეთილშობილებას. ამ ყოველივეს ახალამოჩიტულ გონებამდე მიტანას კი პედაგოგიკა ჰქვია! ეს არ უნდა გვესწავლებოდეს გოგებაშვილის საქართველოში, რომლის „დედაენამ" და „ბუნებამ" ევროპაში, ჯერ კიდევ, გასულ საუკუნეებში ჰპოვა აღიარება.

მოკლედ, ასე!... ამ თემაზე გრძლად თხრობა და პოლემიკა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ამ მოკლე „ბარათით" „მთავარ სათქმელს" დავუბრუნდეთ:

.... დიახ, პრეზიდენტს ეყო პრინციპულობა და პედაგოგებთან ერთ-ერთი შეხვედრისას „მუსრი გაავლო" განათლების სფეროში გატარებულ რეფორმებს, და ღვაწლმოსილ ადამიანებს დაჰპირდა არსებული ხარვეზების გამოსწორებას! მე, პირადად, მართალი გითხრათ, ძალიან მომეწონა პრეზიდენტის ეს გამოსვლა! იშვიათად თუ მინახავს მისი ასე, საქმის ცოდნით, პრინციპულობითა და სიდინჯით აღსავსე გამოსვლა და, რა ღმერთი გამიწყრებოდა, რომ არ მომწონებოდა მისი ეს საქციელი? ოღონდ...

... „ოღონდ" კი ის არის, რომ იმ ათეული მილიონების „გამნიავებლებს" არ უნდა „უშველოთ" ერთი მაღალი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანამ! ვფიქრობ, ერთობ უპრიანი იქნება ყოველი „თეთრის" ბედის გამოძიება და მერე ვისაუბროთ – ვის „კაბინეტი" ეკუთვნის, ვის – „განათლება" და ვის – ციხე!

პრეზიდენტის აღიარებას მხოლოდ ეს ფინალი უნდა ჰქონდეს!

ზაალ ფილფანი

დროის ანატომია

კლასიკური გენეტიკური მარკერების გამოყენებით დამტკიცდა, რომ კავკასიელების მსგავსად, ჩრდილო ოსები, მაღალ თვისობას ავლენენ რუსი ეთნიკური ტომების მიმართაც

არის ასეთი აზრიც

ამ წერილის დაწერა მიბიძგა რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გამართულმა მიტინგმა დევიზით: გერმანია გაერთიანდა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი რატომ არ უნდა გაერთიანდეს? როგორც ჩანს, არც სეპარატისტმა ოსებმა და არც მათ მხარდამჭერმა რუსეთმა საერთოდ დაკარგა ისტორიული ფაქტების შეგრძნების უნარი ან ილუზიების ტყვეობაში არიან. მათ კარგად უნდა იცოდნენ, რომ გერმანიისაგან განსხვავებით, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის სახელწოდება ხელოვნურად იყო შექმნილი გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა თავის დროზე, ისე როგორც ვერ გათვალა მომავალში როკის გვირაბით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები. შეიძლება არ არის მართებული ამაზე საუბარი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩრდილო და სამხრეთ ოსებს შორის არ არის მაინც და მაინც კეთილი განწყობა, რაც მათი გენეტიკური დაშორიშორისებითაა განპირობებული და რაც დამაჯერებლად აისახა მათს გენოფონდში. და მაინც ვინ არიან ოსები და როგორია მათი წარმომავლობა?

ვინ არიან ოსები?..

ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ოსების წარმომავლობისა და გენეტიკურად ნათესაური კავშირის შესახებ

ოსები ერთ-ერთი ეთნიკური ტომია, რომელიც კავკასიის ქედის ჩრდილო და სამხრეთ ტერიტორიაზე ცხოვრობს, მეტყველებს ოსურ ენაზე, რომელიც ირანულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება და აქვთ გენეტიკური თვისობა მეზობელ კავკასიელ ეთნიკურ ტომებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით პრობლემური გახდა ჩრდილო და სამხრეთელი ოსების წარმომავლობისა და გენეტიკური მსგავსება-განსხვავების საკითხი.

დღეს ლიტერატურაში არსებობს ორი ჰიპოთეზა: პირველი, ოსები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში განიცდიდნენ ალანების წინაპრების სარმატების გავლენას და მეტყველებდნენ ირანული ოჯახის ენაზე (ისფახანი, თეირანიძ, აქედან გამომდინარე, სწორედ ალანები უნდა მივიჩნიოთ ოსების წინაპრებად (**Miller, 1992**ძ. მეორე ჰიპოთეზის თანახმად ალანები კავკასიის ავტოქტონური ჯგუფია, რომელმაც შეითვისა ალანური ენა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. არ არის გამორიცხული, რომ ადრე ისინი ერთ-ერთ კავკასიურ ენაზეც მეტყველებდნენ, რაზეც მიგვანიშნებს პოპულაციების გენეტიკური ანალიზის შედეგები.

90-ან წლებში კლასიკური გენეტიკური მარკერებით (შრატის ცილები, სისხლის ჯგუფები, ერითროციტული ენზიმებიძ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ძირძველ მოსახლეობაზე ჩატარებული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ისინი არსებითად განსხვავდებიან აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით. ჩრდილო ოსები, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან შედარებით, გენეტიკურად დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური ტომების მიმართ, სამხრეთელი ოსები კი, გენეტიკურად ნათესაურ თვისობას ამჟღავნებენ სამხრეთ კავ-კასიელი ეთნიკური ტომების მიმართ, მათ შორის ქართველებთან (**Inasaridze et al.. 1990; Salamatina, Nasidze, 1993**ძ.

კლასიკური გენეტიკური მარკერების გამოყენებით დამტკიცდა, რომ კავკასიელების მსგავსად, ჩრდილო ოსები, მაღალ თვისობას ავლენენ რუსი ეთნიკური ტომების მიმართაც (**Rychkov et al., 1996**ძ.

ამ პრობლემით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა და თანამედროვე გენეტიკური მარკერების გამოყენებით (მიტოქონდრიული დნმ-ის ჰიპერ-ვარიაბელური თანმიმდევრობა – HVI, Y ქრომოსომის ბიალელური მარკერი, Y ქრომოსომის მოკლე ტანდემის განმეორება – STRძ დაიწყო ფუნდამენტური კვლევები. მიზნად იყო დასახული დაედგინათ, თუ რა სახის გენეტიკური მსგავსობა არსებობს ჩრდილო და სამხრეთ ოსებსა და მათ მეზობელ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიელ ჯგუფებს შორის. როგორც ცნობილია, ჩრდილო ოსეთში წარმოდგენილია ოსების 5 ეთნიკური ჯგუფი (ალაგირი, დიგორა, არდონი, ზამანკული, ზულკაძ, სამხრეთ კავკასიაში კი ოსების ერთი ეთნიკური ჯგუფია, რომელიც იზოლირებულია კავკასიურ ენებზე მეტყველი პოპულაციებისაგან. ისინი გენეტიკურად განსხვავდებიან მიტოქონდრიული დნმ-ისა და Y ქრომოსომის მიხედვით. თუ მიტოქონდრიული დნმ გარკვეულწილად მათ მსგავს წარმომავვლობაზე მიგვანიშნებს, Y ქრომოსომის მიხედვით, ჩრდილო ოსები, გენეტიკური ნათესაობის მიხედვით გაცილებით ახლოს არიან ჩრდილო კავკასიურ პოპულაციებთან ვიდრე სამხრეთ ოსებთან. სამხრეთელი ოსები კი პირიქით, გამოირჩევიან მაღალი თვისობით სამხრეთ კავკასიურ პოპულაციებთან.

ამგვარად, კლასიკური გენეტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით დადგინდა, რომ არ არსებობს ბიოლოგიური მტკიცებულება ჩრდილო და სამხრეთ ოსების გენეტიკური მსგავსების შესახებ. როგორც ჩანს, წარსულში გეოგრაფიულად მეზობელ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიელებს შორის გენების დინამიკა მათ შორის ისე წარიმართა, რომ კავკასიაში პრაქტიკულად ჩამოყალიბდა გენეტიკურად გაუცხოებული ჩრდილო და სამხრეთელი ოსური პოპულაციები (**Nasidze et al.,, 2004**ძ. საგულისხმოა ისიც, რომ უახლესი მონაცემებით, ოსებსა და ირანელებს შორის აზოტოვან ფუძეთა შეწყვილების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა ოსების ირანული წარმომავლობის დასამტკიცებლად. არის მოსაზრება, რომ ოსების მსგავსება კავკასიელებთან განპირობებულია ოსების მიგრაციის შედეგად გენეტიკური ტრანსლოკაციებით კავკასიურ ეთნიკურ ტომებსა და ოსებს შორის, რაზეც მიგვანიშნებს მათ შორის Y ქრომოსომის მსგავსება.

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კავკასიაში ე.წ. ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ერთიანი სახელმწიფოს არსებობა პოპულაციის გენეტკური ნათესაობისა და ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით რეალურად წარმოუდგენელია. თუ არ გავითვალისწინებთ იმ ავადსახსენებელ როკის გვირაბის არსებობას, წარმოუდგენელია ისეთი ერთიანი სახელმწიფოს არსებობა, რომელიც კავკასიონის ქედით ბუნებრივად ორადაა გაყოფილი და შემოდგომისა და ზამთრის პირობებში, 5-6 თვის განმავლობაში, შეუძლებელია პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის განხორციელება. ალბათ დადგა დრო, რომ კოკოითი და აფხაზეთის „უგვირგვინო მეფე ბაღაფში“ გამოვაცხადოთ სამშობლოს მოღალატეებად და მათ მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ისინი ვერ იპარპაშებენ თავიანთ მხარდამჭერ რუსეთში. რუსეთის პასპორტების მქონე მოქალაქეები კი უნდა გავაფრთხილოთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ მათ საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნებათ.

ნუგზარ ალექსიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

წკეპლიკა

თბილისი-საშური სხვაა, საშური-თბილისი სხვა, შუა უძევს... ერთი ღარი

გასულ შაბათ-კვირას მშობლიური ქალაქი და მამისეული სახლი მოვინახულე, მაგრამ ჩემი „ისტორიული“ ვოიაჟიდან მხოლოდ ორ მომენტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, ისიც იმიტომ, რომ ასეთ სატკივარს უთუოდ სხვაგანაც შეხვდებით.

დიდუბის ავტოსადგურიდან ხაშურამდე მიკროავტობუსით მგზავრობა ძველებურად, და ჯერჯერობით, 5 ლარი ღირს. დავიხსომოთ ეს. მამისეული სახლი ხაშურის ცენტრში გამავალ მაისის ქუჩაზე მიდგას და ეს ქუჩა ახლა ისეთ დღეში დამხვდა, კაი თვალს ნამდვილად არ ენახვება: სუპეროღროჩოღროებიანი, მდინარის დამშრალ კალაპოტს წააგავს. ხელისუფლება ყველა სოფლამდე გვპირდება გზის მიყვანას და მის პირს შაქარი, მაგრამ ყოველ რაიონში გზა სოფლისკენ ხომ ცენტრში (რაიონის ცენტრში!ძ უნდა გადიოდეს და მანამდე ქალაქის ქუჩებსაც ხომ უნდა მიხედონ (ხაშურს რაც შეეხება, მაისის კი არა, არც მთავარი – რუსთაველის ქუჩა გამოიყურება მაინცდამაინც სახარბიელოდძ.

ოცნებას კაცი არ მოუკლას და წავიოცნებებ პატარას: ნეტავი ჩვენს მოგზაურობის ტრფიალ პრეზიდენტს, თავისი ესკორტით, ხაშურში, მაისის ქუჩაზე მოუწევდეს გავლა. დარწმუნებული ვარ, შეაჩერებინებდა მსვლელობას, მოუხმობდა ქალაქის გამგებელს, დახედავდა ჯერაც გაუჩუქებელ მაჯის საათს და მკაცრად მოსთხოვდა: ხვალისათვის, ამა და ამ საათისათვის, ეს ქუჩა მოასფალტებული იყოს, თუ არა და სკამს გამოეთხოვეო...

ოცნების ასრულებამდე კი თბილისში ხომ უნდა დავბრუნებულიყავი და ხაშურის ავტოსადგურს მივაშურე, სადაც მიკროავტობუსის ბილეთის ფასი აღმოჩნდა 6 ლარი. რა მექნა, არ მეკითხა – კი მაგრამ, მანძილი თბილისიდან ხაშურამდე და ხაშურიდან თბილისამდე ხომ ერთნაირია, ტარიფში რატომ არის ერთლარიანი განსხვავება-მეთქი? მძღოლმა მიპასუხა – ფირმებია სხვადასხვა და იმიტომო. ასეთი იყო იმათი ამომწურავი პასუხი.

კი ბატონო, ორ სხვადასხვა მარკეტში ერთსა და იმავე პროდუქტზე ფასებში განსხვავება ეგებ იყოს 5 თეთრი, 10 თეთრი, 15 თეთრი, მაგრამ ერთნაირ მანძილზე, აქეთ-იქით, 1 ლარი? რა არის ეს, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უცნაურობა თუ „ფირმაჩების“ თვითნებობა? თუ მეორე ვარიანტია, მაკონტროლებელი არ უნდა ჰყავდეთ? მიკროავტობუსის სალონში ხომ განცხადებაა გამოკრული: „ხაშურიდან თბილისამდე მგზავრობის ღირებულება 27 დეკემბრიდან 6 ლარიაო“. მესამე თვეა, ასე ყოფილა...

1 ლარისთვის ღირდა ამ ამბის ატეხვაო? – იკითხავს ვინმე. ოთარაანთ ქვრივისათვის – კი...

ხაშურიდან თბილისისკენ მიმავალო მგზავრო...

ფელიქს მაისაია

ინფორმაცია

მცირე მეწარმეები აქტიურობენ

მცირე საწარმოების მთლიანმა ბრუნვამ ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2007 წლის IV კვარტალში 412 მლნ 800 ათასი (ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 8.1 პროცენტი) ლარი შეადგინა.

როგორც სტატისტიკის დეპარტამენტიდან იტყობინებიან, პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ – 227 მლნ 300 ათასი ლარი (ბიზნეს სექტორის პროდუქციის მთლიანი გამოშვების 8.4 პროცენტი) შეადგინა.

მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 72 979 პირი (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 21.9 პროცენტი) შეადგინა, რომელთაგან 41.5 პროცენტი ქალია, ხოლო 58.5 პროცენტი – კაცი. დასაქმებულთაგან დაქირავებულია 58 086 პირი.

მცირე საწარმოებში მთლიანმა დანახარჯებმა პერსონალზე 55.5 მლნ. ხოლო, საშუალო თვიურმა ხელფასმა – 263.7 ლარი შეადგინა.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

● წესრიგის დამცველთა მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგად, სულ მცირე ერთი ადამიანი დაიღუპა. დაფიქსირდა წამებისა და დაკავებულთა მიმართ ცუდად მოპყრობის შემთხვევები

◎ დოკუმენტი

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს ხელისუფლების შარშანდელ საქმიანობას დადებითად აფასებს „ზოგიერთი მიმართულებით“, მაგრამ აქვე აღნიშნავს მდგომარეობის გაუარესებას „სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, შემოდგომაზე განვითარებული მოვლენების დროს.“

„საგრძნობლად შემცირდა სიტყვის, პრესის და შეკრების თავისუფლების მიმართ პატივისცემა, გაუარესდა პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლების ხარისხი, განსაკუთრებით შემოდგომაზე განვითარებული კრიზისის პერიოდში. სხვა პრობლემებია: მთავრობის ზეწოლა სასამართლო ორგანოებზე, მედიაზე, შეკრებისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა“ – ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ანგარიშში ადამიანის უფლებათა შესახებ.

დოკუმენტში ასევე წერია, რომ მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებული ზომებისა, ადამიანთა ტრეფიკინგის შემთხვევები კვლავაც არის. ასევე, დაფიქსირებულია მაღალი რანგის სამთავრობო მოხელეთა კორუმპირებულობა.

„წესრიგის დამცველთა მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგად, სულ მცირე ერთი ადამიანი დაიღუპა. დაფიქსირდა წამებისა და დაკავებულთა მიმართ ცუდად მოპყრობის შემთხვევები, ასევე პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობა, დემონსტრანტების დასაშლელად გადამეტებული ძალის გამოყენება. ციხეებსა და წინასწარი დაკავების დაწესებულებებში არსებული არადამაკმაყოფილებელი პირობები, პოლიციის თანამშრომელთა დაუსჯელობა, წინასწარი საგამოძიებო იზოლატორების ხშირი გამოყენება ნაკლებად სერიოზული ბრალდების მძიმე ეჭვმიტანილთა დასაკავებლად, რიგითი მოძალადეებისათვის საადვოკატო მომსახურების ხელმიუწვდომლობა“, – წერია ანგარიშში.

ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიუროს 2007 წლის ანგარიშში, საქართველოში პრესის, სიტყვისა და ინტერნეტის თავისუფლების შესახებ ნათქვამია, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებულია პრესისა და სიტყვის თავისუფლების დაცვა, მაგრამ მთავრობამ 2007 წლის შემოდგომაზე განვითარებულ პოლიტიკურ კრიზისთან დაკავშირებით, სიტყვისა და პრესის თავისუფლება შეზღუდა. მთელი წლის განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ანალიტიკოსები და ჟურნალისტები მთავრობის ჩინოვნიკებსა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს გრალს დებდნენ, რომ ისინი პირადი კავშირების საშუალებით, ახალი ამბების განყოფილების რედაქტორებსა და მედიაკომპანიების ხელმძღვანელებზე სარედაქციო და პროგრამულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში ზეწოლას ახორციელებდნენ. არსებობს ოპოზიციური პოლიტიკოსებისა და ადგილობრივი მთავრობის მოხელეების მიერ ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის ამსახველი რამდენიმე ცალკეული მოსსენება.

ზოგიერთმა პირმა დასავლეთის მონიტორინგის ჯგუფის წევრებს განუცხადა, რომ მოსალოდნელი რეპრესიების გამო, მთავრობის სახალხოდ, ან ტელეფონით გაკრიტიკების ეშინოდათ.

საქართველოში, დაახლოებით 200 დამოუკიდებელი გაზეთია – უმეტესობა ადგილობრივია და ძალზე მცირე ტირაჟით გამოდის. შესაბამისად, მცირეა მათი გავლენის სფეროც. გასული წლის განმავლობაში, გეჟდვითი მედია ხშირად აკრიტიკებდა მთავრობის ჩინოვნიკებს. თუმცა კომერციული თვალსაზრისით, სიცოცხლისუნარიანი მხოლოდ რამდენიმე დამოუკიდებელი გაზეთი ალმოჩნდა. ამასთან, არასაკმარისი ფინანსური რესურსები მათ ტირაჟსა და გავრცელების არეალს ზღუდავდა. გაზეთებს, ჩვეულებრივ, აფინანსებდნენ მფარველები პოლიტიკიდან და ბიზნესიდან, ამიტომ ისინი, მათი გავლენის ქვეშ იყვნენ.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის ახალი ამბების წყაროს ტელე-რადიომაუწყებლობა წარმოადგენდა. თბილისში რვა დამოუკიდებელი და კერძო მფლობელობაში არსებული სატელევიზიო სადგური იყო, ერთიც – საზოგადოებრივი მაუწყებელი. თბილისში დაფუძნებული ტელესადგურებიდან ოთხი: საზოგადოებრივი არხი, „რუსთავი2“, „იმედი“ და „მზე“, მათივე მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებდნენ გადაცემებს. „იმედს“ ყველაზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი ჰყავდა და ხშირად იმახსურებდა მთავრობის კრიტიკას. გათუმში დაფუძნებული აჭარის ტელევიზია საქართველოს მთელ ტერიტორიზე მაუწყებლობდა.

დამკვირვებლებს მიაჩნიათ, რომ მთავრობის ზოგიერთი წევრი მართავდა პრო-სამთავრობო სატელევიზიო სადგურებს. განსაკუთრებით ალანიშნავია „რუსთავი2“ და „მზე“, რომლებიც მთავრობის საქმიანობას დადებითად აშუქებდნენ. წინასაარჩევნო პერიოდის დროს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE-ის მოსსენების მიხედვით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააუმჯობესა საარჩევნო კამპანიების გაშუქება და მისი გადაცემები გაცილებით დაბალანსებული გახდა. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, თბილისის გარეთ 45 რეგიონალური სატელევიზიო სადგურია, მათგან 17 ყოველდღიურად ადგილობრივი ახალ ამბებს გადასცემს.

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის მოსსენების თანახმად, 17 იანვარს ორმა უცნობმა პირმა გაზეთ „ღია ბოქლომის“ ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაია გაიტაცა და გააფრთხილა, ზუგდიდში თავისი ჟურნალისტური საქმიანობა შეეწყვიტა. წლის ბოლოს ადგილობრივმა პოლიციამ მუქარისა და ფიზიკური შურაცხყოფის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაზეთის დახურვის მოთხოვნით განხორციელებულ მუქარასთან დაკავშირებით, ალძრული გამოძიება დახურულად გამოაცხადა ჩაჩიბაიამ ჩვენების დამადასტურებელი საბუთების უქონლობის გამო. ჩაჩიბაიამ გადაწყვიტა ეს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოზე გაესაჩივრებინა.

მარტში ელისო ჯანაშვილმა, „თავისუფალი სიტყვის“ რედაქტორმა, განაცხადა, რომ მას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის წარმომადგენელმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მას შემდეგ, რაც სხვა გაზეთში მომუშავე ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ სტატია გამოაქვეყნა. 15 მარტს სახალხო დამცველმა ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილებას ბრალდების გამოძიება მოსთხოვა, რომელიც წლის ბოლოსთვის კვლავ მიმდინარეობდა.

ივნისის ბოლოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც კრძალავს ვიდეო და ფოტოგადაღებას სასამართლო დარბაზებში, მაგრამ ჟურნალისტებს პროცესზე დასწრების უფლებას აძლევს. ზოგიერთმა ჟურნალისტმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ დარბაზებში ვიდეოგადაღების აკრძალვასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა. მათი მტკიცებით, სასამართლო პროცესების საჯაროობა მათი სამართლიანობის გარანტიაა.

შვიდ ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ოპოზიციის საპროტესტო მიტინგის დასაშლელად გადამეტებული ძალა გამოიყენეს, მთავრობამ საგანგებო სიტუაცია შემოიღო, რომელიც, კონსტიტუციის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა ყველა სამაუწყებლო მედიასასაშუალების საქმიანობის შეწყვეტას ითვალისწინებდა. შედეგად, ამ დროის განმავლობაში, სამმა ტელევიზიამ მაუწყებლობა შეწყვიტა („იმედი“, „კავკასია“, „25-ე არხი“-ძ, ამასთან „იმედი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცნაზმა დაარბია. „იმედის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ არ წარმოუდგენათ რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც პოლიციის მიერ რეიდის მოწყობის კანონიერებას დაადასტურებდა, მათივე თქმით, პოლიციელებს თანამშრომლებზე იარაღი ჰქონდათ მიბჯენილი.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის HUMAN RIGHTS WATCH მონაცემების მიხედვით, პოლიციამ ცრემლსადენი გაზის, რეზინის ტყვიებისა და ხელკეტების გამოყენებით დაარბია ტელევიზიის თანამშრომლები და ტელევიზიის გარეთ მდგარი მათი მხარდამჭერები. გვიან ღამით პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. კონსტიტუციის შესაბამისად, მხოლოდ საზოგადოებრივ ტელევიზიას ჰქონდა მაუწყებლობის უფლება. გეჟდვითი მედიას საგანგებო მდგომარეობა არ შესახებია. აპრძალვა გაუქმდა 18 ნოემბრს და ყველა მედია-მაუწყებელმა ტელეკომპანია „იმედის“ გარდა, განაგრძო მუშაობა.

ტელეკომპანია „იმედი“, მისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ სამაუწყებლო ლიცენზიის შეწყვეტის შედეგად, ეთერში მხოლოდ 12 დეკემბერს გავიდა, მთავრობის განცხადებით, ამ ნაბიჯის გადადგმა საჭირო გახდა „იმედის“ ეთერში ბასული იმ განცხადებების საპასუხოდ, რომლებიც ხალხს მთავრობის ძალით დამხობისკენ მოუწოდებდა. ეს ბრალდება ტელემაუწყებლის ხელმძღვანელობამ უარყო. OSCE/ODIHR-ის (ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებათა სამსახური) შუალედური მოხსენების მიხედვით, „იმავე განცხადებებს, რომელიც სხვა არხებმა გადასცეს, იგივე სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია“, როდესაც თანამშრომლებს რამდენიმე კვირაში ტელეკომპანიაში დაბრუნების ნება დართეს, მიუხედავად იმისა, რომ სადგური დასუფთავებული იყო, მათ ალმოაჩინეს, რომ შენობაში ვანდალიზმს, ტექნიკის მნიშვნელოვან დაზიანებას, ტელეკომპანიის ქონების ძარცვასა და თანამშრომლების კუთვნილი ავტომობილების გატაცებას ჰქონდა ადგილი.

ტელეკომპანია „იმედმა“ მაუწყებლობა 12 დეკემბერს აღადგინა, მაგრამ კვლავ დაიხურა 26 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც

საქართველოში გაუარესდა პრესის, შეკრებისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლების ხარისხი

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიდან

ყო. OSCE/ODIHR-ის (ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებათა სამსახური) შუალედური მოხსენების მიხედვით, „იმავე განცხადებებს, რომელიც სხვა არხებმა გადასცეს, იგივე სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია“, როდესაც თანამშრომლებს რამდენიმე კვირაში ტელეკომპანიაში დაბრუნების ნება დართეს, მიუხედავად იმისა, რომ სადგური დასუფთავებული იყო, მათ ალმოაჩინეს, რომ შენობაში ვანდალიზმს, ტექნიკის მნიშვნელოვან დაზიანებას, ტელეკომპანიის ქონების ძარცვასა და თანამშრომლების კუთვნილი ავტომობილების გატაცებას ჰქონდა ადგილი.

ტელეკომპანია „იმედმა“ მაუწყებლობა 12 დეკემბერს აღადგინა, მაგრამ კვლავ დაიხურა 26 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც ნოემბერში რამაზ სამხარაძემ – დამოუკიდებელი რადიოსადგურ „ჰერეთის“ ხელმძღვანელმა, მთავრობის მომხრე ბიზნესმენი რადიო „ჰერეთზე“ ზეწოლის განხორციელებაში დაადანაშაულა, რათა მას შეეწყვიტა მთავრობის საწინააღმდეგო აზრის განვითარება. სახალხო დამცველმა პროკურატურას ამ საქმის გამოძიება მოსთხოვა.

15 ნოემბრის მოხსენებაში გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ზეწოლებთან დაკავშირებით გამოძიებულ საქმეთა სიმცირის გამო და მთავრობას მოუწოდა, პატივი სცეს სიტყვის და მედიის თავისუფლებას.

მთელი წლის განმავლობაში ჟურნალისტებს თვითცენზურის საკითხი ალელვებდათ, რაც, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ჟურნალისტები კონტრაქტების გარეშე მუშაობდნენ. დეკემბერში მსხვილი ტელეკომპანიების „იმედისა“ და „რუსთავი2“-ის ჟურნალისტებმა სამსახური დატოვეს. „რუსთავი2“-ის ჟურნალისტთა განცხადებით, ისინი გრძნობდნენ, რომ მთავრობის ზეწოლის ქვეშ იყვნენ. „იმედის“ ჟურნალისტთა განცხადებით კი, მათი გადადგომის მიზეზს ოპოზიციონერი ძალების მხრიდან განხორციელებული ზეწოლა წარმოადგენდა.

შემოდგომისას განვითარებული პოლიტიკური კრიზისის წინაპერიოდში მედიის ანალიტიკოსები და დამოუკიდებელი ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ ინფორმაციის საჯაროობა გაუმჯობესდა, ჟურნალისტებზე არაპირდაპირი და ფარული ზეწოლა ნაკლებად ხორციელდებოდა, მდგომარეობა ფინანსურადაც გამოსწორებული იყო.

ახალი კანონმდებლობა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებელთათვის ეთიკის კოდექსის შემუშავებას ითვალისწინებს. კომისიამ კოდექსის გამოცემა 2006 წლამდე გადადო, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა გააკრიტიკეს ევროპის კომისიის მიერ შემოთავაზებული კოდექსის სამუშაო ვერსია, რადგან იგი სამაუწყებლო მედიას კონტროლის მცდელობად მიიჩნიეს, თუმცა კომისიას ეს კოდექსი არც 2007 წლის ბოლოსთვის ჰქონდა დამტკიცებული.

თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრებმა გააუმჯობესეს ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მთელი წლის განმავლობაში, თავდაცვის მინისტრი ჟურნალისტებს ნებას აძლევდა მოენახულებინათ კრწანისის საწვრთნელი ბაზა და სხვა დაწესებულებები, რომლებიც მანამდე ჟურნალისტებისათვის დახურული იყო. 2007 წელს დე ფაქტო ხელისუფლებები სეპარატისტულ რეგიონებში (სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში) მედიას უწინდებურად მკაცრად ზღუდავდა.

ინტერნეტის თავისუფლება. მთავრობას ინტერნეტით სარგებლობაზე შეზღუდვები არ დაუწესებია. მოსსენებები მთავრობის მიერ ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ფორუმების მონიტორინგთან დაკავშირებით, არ გაკეთებულა. კერძო პირებსა თუ დაჯგუფებებს შეეძლოთ ინტერნეტის საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტით, თავიანთი მოსაზრება თავისუფლად გამოეხატათ. 2007 წელს ინტერნეტი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ შვიდი პროცენტისთვის იყო ხელმისაწვდომი.

მოამზადა

ოლღა ციხკარიშვილმა.

ჭირ-ბოროტი

ხელისუფლება კი გვიმტკიცებს, ლარი იმიტომ მყარდება, რომ ეკონომიკა წინ მიდისო. კი, მაგრამ თუ ეკონომიკა მართლაც ვითარდება, ხალხი რატომღა ღარიბდება ყოველდღიურად?



◎ ფინანსები

ბამყარება, რომელიც ბვაუამუალებს

ლარის კურსის ამაღლებამ ცხოვრება გაგვიძვირა

ლარმა დოლართან მიმართებაში, როგორც იტყვიან, აიშვა და მერე როგორ! დოლარი სულ უფრო სუსტდება, ლარი კი პოზიციის დათმობას არ აპირებს.

ახლახან მეგობარმა შემომჩივლა, შვილისთვის ოფთალმოლოგიური ოპერაცია უნდა გამეკეთებინა. როგორც იქნა, 500 დოლარი შევაგროვე, მაგრამ გადახურდავებას არ ვჩქარობდი, ლარები წვრილმან რამეებში არ დამეხარჯოს-მეთქი. მთელი 10 დღე მედო ფული სახლში, ხოლო როცა გადავახურდავე, ვნახე რომ ამ დროის განმავლობაში დაახლოებით 30 ლარამდე დამიკარგავს. შეიძლება, ზოგიერთისთვის 30-40 ლარი არაფერი იყოს, მაგრამ ჩემნაირი გაჭირვებულისთვის ერთი ლარიც კი ფულია.

ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, კარგია, რომ ლარი მყარდება, თვით დოლარსაც კი უჭირს ამერიკაშიო, აგრეთვე ევროსაც უჭირს და გირვანქა სტერლინგსაცო.

კი ბატონო, ასე იყოს, მაგრამ ყველამ თავისი მკვდარი იტიროს, მე კი ჩემსას დავტირი. ხელისუფლება კი გვიმტკიცებს, ლარი იმიტომ მყარდება, რომ ეკონომიკა წინ მიდისო. კი, მაგრამ თუ ეკონომიკა მართლაც ვითარდება, ხალხი რატომღა ღარიბდება ყოველდღიურად? ექსპერტები კი პირიქით, ხმამაღლა ყვირიან, ეკონომიკა წინ კი არ მიდის, პირიქით, შარშანდელ დონეს ორი პროცენტით ჩამორჩაო.

საქმეში ჩაუხედავისთვის ალბათ ძნელია საბანკო-საფინანსო ლაბირინთებში გზების გაკვლევა, მაგრამ თქმით კი ნამდვილად იტყვის – რა თავში ვიხლი ლარის გამყარებას, ცუდია თუ კარგი, ჩემი საქმე არ არის, ის კი ვიცი, რომ ლარის გამყარებამ ცხოვრება საკმაოდ გაგვიძვირაო. ასე იტყვის და მართალიც იქნება. თითქმის ყველა პროდუქტზე ფასი თუ არა გაორმაგებულა, არც ნაკლებად არის გაძვირებული.

რამდენიმე ხნის წინათ ერთი ვაიუშველებელი ატყდა, მედიკამენტებიც საკმაოდ გაძვირდა, იაფფასიან წამლებსაც კი ვერ ვყიდულობთო, ყველაფერი ისევ და ისევ არჩევნებს დაბრალდა – ძლიერმა ფირმებმა საერთო გამარჯვებისთვის (ნაციონალურ მოძრაობას გულისხმობდნენ ალბათძ სოლიდური თანხები შეიტანეს საერთო სალაროში და ახლა სამაგიეროს მოსახლეობიდან იღებენო. ფარმაცევტული ფირმების ხელმძღვანელებმა კი ამის საპასუხოდ კინაღამ ვენები გადაიჭრეს და ლამის თავად გახდნენ სამკურნალონი, – არჩევნები რა შუაშია, მედიკამენტები მსოფლიო ბაზარზე გაძვირდა და ჩვენ, ქართველები, გამონაკლისები ნამდვილად ვერ ვიქნებითო.

სულ ახლახან „ავერსის“ გენერალურმა დირექტორმა ბატონმა კურტანიძემ უკვე შეგვაპარა, მედიკამენტების გაძვირებას ვერც მომავალში ავიცილებთ თავიდანო და უცებ... ისევ აეწია წამლებს ფასი. გაჭირვებულ მოსახლეობას სადარდებელი დაემატა, რად გვინდოდა 25-ლარიანი ვაუჩერი, თუ წამლებს ასე გაგვიძვირებდნენო. არ არიან მართლები? არიან!

საინტერესო, იცით, რა არის? მსოფლიო ბაზარზე რომ ძვირდება ყველაფერი და მათ შორის წამლები, გასაგებია, მაგრამ ადგილობრივი, საქართველოში დამზადებული მედიკამენტების ფასი რატომღა იზრდება? ძალიან მაინტერესებს. ფარმაცევტული ფირმების ხელმძღვანელები მილიონერთა სიაში არიან, იყვნენ ბატონო, მაგრამ ასე რომ არ გააძვირონ წამლები, არ შეუძლიათ? ალბათ შეუძლიათ, მაგრამ არ აკეთებენ, მაშინ თავად რაღა წაიღონ? აი, სააკაშვილმა რომ დაავალოს, რომორ გგონიათ, წამლებს ფასს არ დააკლებენ? დააკლებენ კი არა, შეიძლება სულ უფასოდაც მოგვცენ ზოგჯერ, ხომ იცით – ამბობენ შიშს დიდი თვალები აქვსო.

დოლართან მიმართებაში ლარის გამყარების მიზეზების გარკვევას არც სამთავრობო ნის, ძლივს გვყოფნის, არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ისე კი ვურჩიე, ჩამოსულიყო, მაგრამ ეშინია, ვაითუ მაინდ ესეც ვერ ავიღოო. წახვალ ბაზარში და ორი ღერი ქინძი თუ ოხრახუში 50 თეთრი ღირს. ექსპერტებს თუ დავუჯერებთ, ისინი ამბობენ, ლარის გამყარება იძულებითი პროცესიაო. მაინც ვერ გავიგე – საითკენ მიდის ჩვენი ლარი?

– თქვენ კი არა, ბატონო სამსონ, თვით ფინანსისტებმაც არ იციან ალბათ, საითკენ მიდიან საერთოდ.

ბატონი სამსონი მაინც არ მეშვება, ეტყობა ჩემმა ნოტაციებმა არ გაჭრა:

– მოდი, გავაკეთოთ 20-25-წლიანი ნახტომი უკან. გახსოვთ ერთი აშშ დოლარი 50 კაპიკი რომ ღირდა? ხელისუფლება ვალდებულია, შეაჩეროს ლარის გამყარება, რადგან ამ პროცესმა ეკონომიკურად კიდევ უფრო უკან დასწია ოჯახები, სერიოზულად ჰკიდოს ხელი ექსპორტის სტიმულირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი დრო მოგვენატრება, თუმცა ბევრს ახლაც ენატრება.

მოდი და, ნუ მოინატრებ: კი, მოგვეცა ლხენა, კარგია ფეშენებელური სასტუმროები, ფერადი თუ მოდერალი შადრევნები, დასასვენებელი სახლები, ტურბაზები ქობულეთში, ბათუმში, ბაკურიანსა თუ გუდაურში, მაგრამ თუ მე ჩემს ცოლ-შვილს, ჩემს ტყუპ შვილიშვილებს ბაკურიანს და კოხტა გორას ვერ ვუჩვენებ ერთხელაც კი, რა თავში ვიხლი ასეთ ყოფას? კი, ბატონო, იყოს ძვირადღირებული სასტუმროები და სანატორიუმები ე.წ. ახალი ქართველებისთვის ე.ი. მილიონერებისთვის, მაგრამ ჩვენთვისაც, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვისაც დატოვეთ 1-2, თორემ რა გამოვიდა? თუ ადრე ვახერხებდით ჩვენი ხელფასით წაგვეყვანა ცოლ-შვილი დასასვენებლად, რატომ ახლა ვერ ვახერხებთ? მე, მართლა მარტო ჩემს ოჯახზე კი არ ვფიქრობ ამას, ეს საკითხი ძალიან ბევრ ჩემისთანა ადამიანს აწუხებს. გეცოდინებათ, ალბათ, რა ღირს ერთი დღე-ღამე გუდაურის სასტუმროში რომორ გგონიათ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს გემოვნება არა აქვთ? ნუ მოუსპეთ ჩვენს შვილებს ბაკურიანი, ურეკი, სურამი და სხვა ადგილები...

ჩემი მოსაუბრე ისე შეწუხებული ჩანდა ქვეყანაში არსებული ფინანსური სიტუაციით, მისი დამშვიდებისთვის, საუბარი კარგა ხანს გაგვიგრძელდა.

რაც შეეხება დოლარის კურსს, საერთაშორისო ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ მას სხვა ქვეყნის ვალუტაზე ჩაენაცვლოს. ამასობაში კი ფასები არა მარტო პროდუქტებზე, საერთოდ, ყველაფერზე მატულობს. სხვა რა გზაა, გამოვიზოგოთ ჩვენი ქისა, თუ იქ კიდევ რამე დაგვრჩენია და დაველოდოთ, ვნახოთ, რა იქნება.

ნაზი იმნაიშვილი

◎ დასაქმება

დაიძღევა კი სილაჩიბე?

როგორც სოციოლოგები და ექსპერტები მიჩნევენ (და ეს ასეცაა), ქართულ საზოგადოებაში დღეს ისევ და ისევ ორი ფენაა, მდიდრები და ღარიბები, უფრო ზუსტად ღატაკები.

ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას უეჭველია, სურს, რომ რაც შეიძლება მალე დაძლიოს სილარიბე. სურვილი ნამდვილად კარგია, მაგრამ, აღსრულებაა მთავარი. როგორ აღასრულებ დანაპირებს 50 დღეში,

როცა ეს ვერც წინა ხელისუფლებამ მანამდე და ვერც „ვარდოსნებმა“ განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ვერ შეძლეს?

ქვეყანაში რომ ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა უმუშევრობაა, ამას ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღნიშნავენ ხოლმე. უკვე მერამდენე წელია, მუშაობს დასაქმების პროგრამა, მაგრამ ყველა ხვდება, რომ რეალურად ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანი საქმდება, რადგან ძირითადად ეს სოციალური პროგრამებია, ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა გამოიყოფა და იგი უმუშევარ მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრაციას გაივლიან, სამი თვის განმავლობაში დაურიგდება. ისმება კითხვა ბიზნესმენს რაში სჭირდება ვინმეს დახმარება თანამშრომლის აყვანაში თუ იგი მას რეალურად სჭირდება?

ჩემის აზრით, დღეს „დასაქმების პროგრამის“ სახით სახელმწიფო სუფსიდირება ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის უკიდურესი მახინჯი ფორმაა: „კი, ბატონო, გადაუხადონ 200 ლარი მოსახლეობის ნაწილს 3 თვის განმავლობაში, ზოგიერთისთვის ამ თანხას მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ჩვენ ნუ „გვაბოლებენ“, რომ ადამიანები დაასაქმეს,“ – მითხრა 25 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე მარინე ახალკაცმა, რომელმაც მიუხედავად დიდი მცდელობისა, სამუშაო მაინც ვერ იშოვა. თუ ეკონომიკამ, ანუ ბიზნესმა არ შექმნა სამუშაო ადგილები, ასეთი ღონისძიება ყოველთვის დროებითი იქნება. ძველი მინისტრიც (დავით ტყეშელაშვილიძ გვპირდებოდა – ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ შრომის ბაზარზე ათეული ათასობით სამუშაო ადგილები იყოსო, მაგრამ, როგორ აპირებდა ამის გაკეთებას, არ დაუკონკრეტებია.

დასაქმების პროგრამის ნაცვლად შარშან ბიზნესპროგრამა უნდა ამუშავებულიყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ კვლავინდებურად სამი თვის ხელფასს კი არ მიღებდნენ, არამედ სამუშაო ადგილს დააფინანსებდნენ: პროგრამას ჯანმრთელობის დაცვის კი არა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კურირებდა, როგორც ჩანს, ამ პროგრამამ სათანადოდ ვერ იმუშავა.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში დაგვიდასტურეს, ამჟამად განიხილება და, იმედოვნებენ, რომ მალე დაიწყება სრულიად ახალი ტიპის დასაქმების პროგრამა, რომელსაც, აღნიშნულ სამინისტროსთან ერთად, განათლების სამინისტროც განახორციელებს. საქმე ის არის, რომ აღნიშნული პროგრამა ამჟამად ფართოპროფილიანი, სავარაუდოდ ასეთი სახელწოდებისა იქნება – პროფესიული განათლების, ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა – დასაქმება-გადამზადება-მომზადება.

მთავარია იყოს მოთხოვნა კომპანიებისგან კადრებზე, – თქვეს სამინისტროში. – ჯერჯერობით მოთხოვნა სამშენებლო და მომსახურების სფეროდან არის, არ გამოვრიცხავთ, რომ კვალიფიციური მუშაკები სჭირდებოდეთ მედიცინის, ეკოლოგიის, ტექნიკური სფეროდანაც, ჯერჯერობით ვილებთ განაცხადებს კომპანიებისაგან, რომლებიც მზად არიან, რომ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში.

იხ. 14 გვ.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

№	ბალანს მფლობელი ორგანიზაცია	ავტომობილის მარკა სახ. №	გამოშვების წელი	საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი	ბიჯი აშშ დოლარი	„ბე“ აშშ დოლარი
1(19)	საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	ფოლცვაგენ-გოლფი 2 სახ.№SSM-201	1990	875	50	270
2(21)	საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	ვაზ-2107 სახ.№RUS-679	2000	625	50	190

შენიშვნა: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პრივატიზების პროცესი გაგრძელებულია 20.02.08წ.-დან 20.02.09წ.-მდე

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 14 მარტის № 9 (555)-ში.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე:

	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
3(4)	ქ.თბილისში, თემქის დასახ. III მკრ, V კვარტალი, კორპ. № 5–ში (X სადარბაზო) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი და მასზე დამაგრებული წილობრივი მიწის ფართი	5 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფი	25,98		5000	300	1000	64,80 ლიარი	50

შენიშვნა: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პრივატიზების პროცესი გაგრძელებულია 06.03.08წ.-დან 06.03.09წ.-მდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 14 მარტის № 9 (555)-ში.

ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

	ობექტის დასახელება მისამართი	შენობა-ნაგებობების დახასიათება	ფართი კვმ	მიწა წილობრივად კვმ (საერთო სარგებლობაში)	საწყისი ფასი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	ბიჯი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	„ბე“ აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში	საიჯარო ქირა	მონაწილის ბილეთი ლარი
I (3)	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივი„ VI კვ. კორპ. № 20	მრავალ-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული	36,39		17000	500	4000		50

აღნიშნულ ობიექტზე შემოსულია განაცხადი: აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 14 აპრილის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 14 აპრილს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 14 მარტის № 9 (555)-ში.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს (პირობით) ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის და მინის რეალიზაციის შესახებ:

1. სსიპ № 176 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული მერხების და სკამების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 0,08 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 185 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 5 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, ვარკეთილის მასივის მე-4 მკრ-ში). (იხ.შენიშვნა № 1)

2. სსიპ № 176 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 1 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 185 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 50 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, ვაზისუბნის მე-4 მკრ-ში). (იხ.შენიშვნა № 1)

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ და საფინანსო კორპუსებში ჩატარებული რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 20 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 185 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 1000 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, გულუას ქ. № 10-8-ში). (იხ.შენიშვნა № 1)

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ და საფინანსო კორპუსებში ჩატარებული რემონტის შედეგად მიღებული ალუმინის სავარაუდო წონაა 25 ტონა. ერთი ტონა ალუმინის ღირებულება შეადგენს 1715 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა ალუმინზე შეადგენს 100 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 10000 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, გულუას ქ. № 10-8-ში). (იხ.შენიშვნა № 1)

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ და საფინანსო კორპუსებში ჩატარებული რემონტის შედეგად მიღებული მინის სავარაუდო ზომაა 300 კვ.მ. ერთი კვ.მინის (6 მმ-იანი) ღირებულება შეადგენს 14 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ერთი კვ.მინის (8 მმ-იანი) ღირებულება შეადგენს 25 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე შეადგენს 2,5 აშშ დოლარს (მ.შ 1 კვ.მ (6 მმ-იანი) მინაზე 1 აშშ დოლარი, 1 კვ.მ (8 მმ-იანი) მინაზე 1,5 აშშ დოლარი) ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 1500 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით (ჯართი განთავსებულია: ქ.თბილისში, გულუას ქ. № 10-8-ში). (იხ.შენიშვნა № 2)

ჯართის და მინის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

შენიშვნა № 1: აუქციონის პირობად განისაზღვროს:

- სარეალიზაციო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
- აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა;

შენიშვნა № 2: აუქციონის პირობად განისაზღვროს:

- სარეალიზაციო თანხის გადახდა აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
- აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით მინის დამუშავება და გატანა;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. № 16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 17 მარტიდან 16 აპრილის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 16 აპრილს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ.ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 14 მარტის № 9 (555)-ში.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ქირავნობის გაცემის შესახებ:

1. სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, ზუბალაშვილების ქ. № 23-ში მდებარე 234 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული № 1 შენობა საერთო ფართით 442,53 კვ.მეტრი გაიცემა ქირავნობის უფლებით, წლიური ქირის ოდენობაა 28000 აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში, ქირავნობის ვადაა 7 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება 3000 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის ქირავნობის უფლებით გაცემის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

„ბიჯი“-ს სიდიდე განისაზღვრება 1000 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში.

მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით.

2. სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული, ვაკე-საბურთალოს რაიონში, პეკინის ქ. № 4-ში მდებარე ლიტ „ა“ შენობის I სართულზე არსებული 2,0 კვ. მეტრი არასაცხოვრებელი ფართობი და მასზე დამაგრებული წილობრივი მიწის ნაკვეთი გაიცემა ქირავნობის უფლებით, წლიური ქირის ოდენობაა 2400 აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში, ქირავნობის ვადაა 5 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება 500 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის ქირავნობის უფლებით გაცემის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

„ბიჯი“-ს სიდიდე განისაზღვრება 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში.

მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. № 16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 14 მარტიდან 14 აპრილის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 14 აპრილს 16:30 საათზე.

- საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

თანხა ჩაირიცხება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული), ანგარიში 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი: გ. ტაბიძის ქ. № 4, მე-3 სართული, ტელ: 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 14 მარტის № 9 (555)-ში.

ინფორმაცია

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 06.03.08წ. № 1-3/25 ბრძანების საფუძველზე შეწყდეს პრივატიზების პროცესი (ვადაგაგრძელებული), ვაკე–საბურთალოს რაიონში, ფალიაშვილის ქ. № 52-ში მდებარე შენობის სარდაფ-სართულზე არსებულ 75,76 კვ.მეტრ არასაცხოვრებელ ფართობზე.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2008 წლის 14 მარტის № 9 (555)-ში.

● საქართველოს სერიოზულად აძვს იმედი, რომ თვეზე ნაკლებ დროში მისცემენ მას ნატოში წევრობისათვის მოქმედების გეგმას, რის თაობაზეც სააკაშვილი შუამდგომლობდა თებერვლის შუა რიცხვებში თავის წერილობით მიმართვაში ალიანსის გენერალური მდივნისადმი იაპ დე ჰოოპ სხეფერის სახელზე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ სააკაშვილი ნატოში მიღებაზე ჩაწერას აპირებს

17 მარტს დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სამდღიანი სამუშაო ვიზიტი ვაშინგტონში. საქართველოს ლიდერის მიზანია შეერთებული შტატების მხარდაჭერა მოიპოვოს იმ საკითხში, რომ მის ქვეყანას ბუქარესტში ალიანსის აპრილის სამიტზე მისცენ ნატოში წევრობისათვის მოქმედების ინდივიდუალური გეგმა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბატონ სააკაშვილის მისია შეუსრულებლად მიაჩნიათ.

იქ დარწმუნებული არიან, რომ შეერთებული შტატები არ წავა რუსეთთან ახალ კონფრონტაციაზე უკვე არსებული უთანხმოების პირობებში. მოსკოვში განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ აბრეთვე ნატოს სამიტში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მონაწილეობაზე.

როგორც „კომერსანტს“ საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურში აცნობეს, სააკაშვილის სამდღიანი ვიზიტი შეერთებულ შტატებში „პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიწვევით ეწყობა და სამუშაო ხასიათს ატარებს“. ნიუიორკში ბატონი სააკაშვილი გაეროს გენერალურ მდივანთან პან გი მუნთან იმსჯელებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემაზე, ხოლო შემდეგ გაიმართება მისი შეხვედრები ბატონ ბუშთან, სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან და პენტაგონის მეთაურთან რობერტ გეიტსთან, რომლებიც ჯერ კიდევ წინა დღით მოსკოვში იმყოფებოდნენ.

თბილისი არ მალავს, რომ ოკეანის გაღმა სააკაშვილის ვიზიტის მთავარი მიზანია მოიპოვოს შეერთებული შტატების მხარდაჭერა ბუქარესტში ნატოს აპრილის სამიტზე, რათა საქართველო ალიანსთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდეს. საქართველოს სერიოზულად აქვს იმედი, რომ თვეზე ნაკლებ დროში მისცემენ მას ნატოში წევრობისათვის მოქმედების გეგმას, რის თაობაზეც სააკაშვილი შუამდგომლობდა თებერვლის შუა რიცხვებში თავის წერილობით მიმართვაში ალიანსის გენერალური მდივნისადმი იაპ დე ჰოოპ სხეფერის სახელზე.

ვაშინგტონში გამგზავრებამდე საქართველოს პრეზიდენტმა პირადად განუმარტა თანამოქალაქეებს მოცემული მომენტის პათოსი. „ახლა საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი მომენტია, – განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს გათუმში. – ერთი მხრივ, დიდი ბრძოლა წარმოებს ნატოსთან საქართველოს შეერთების გამო. ეს სინამდვილეში საქართველოს თაობაზე გეოპოლიტიკური ბრძოლაა. მეორე მხრივ, სიტუაცია მეტად კრიტიკულია საქართველოს რეგიონების მიმართ“. ამრიგად, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი პოზიციების განმტკიცება და ყველას მაქსიმალური მობილიზება გვჭირდება, როგორც ძვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

თუმცა ბატონ სააკაშვილს ალბათ არც სჭირდება თავისი ხალხის დარწმუნება ნატოში შესვლის აუცილებლობაში. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 5 იანვარს საყოველთაო რეფერენდუმში, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად რომ გაიმართა, ამომრჩეველთა 77 პროცენტმა ალიანსში შესვლას დაუჭირა მხარი. ასე რომ, ახლა თბილისისთვის უფრო მნიშვნელოვანია დაუმტკიცოს თავისი სარგებლობა გრიუსელს, მით უმეტეს, რომ ნატოს წევრ ძვეყნებს შორის არ არის მკვეთრად გამოხატული ერთიანობა ისეთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ინტეგრაციის თაობაზე, როგორიცაა საქართველო და უკრაინა. იმ ძვეყნებს შორის, რომლებიც არ ჩქარობენ ალიანსში თბილისისა და კიევის მიწვევას, არიან ნატოს ისეთი ძველი წევრები, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი და ჰოლანდია.

ასეთ პირობებში სავსებით ლოგიკურია სააკაშვილის ვიზიტი ვაშინგტონში, რომელიც ნატოს გადაწყვეტილებების მიღების მთავარ ცენტრად არის მიჩნეული. იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს ლიდერი ამერიკის ადმინისტრაციასთან ახლანდელ მოლაპარაკებას, ის ფაქტიც მოწმობს, რომ მას ვიზიტისას ახლავს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე და თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ისინი მიხეილ სააკაშვილს უნდა დაეხმარონ დაარწმუნონ შეერთებული შტატების ხელისუფლება, რომ საქართველო მომწიფებულია არა მარტო ნატოში გაწევრიანების გეგმისთვის, არამედ ნატოში წევრობისთვისაც.

მოსკოვში კი დიდად არ სჯერათ საქართველოს პრეზიდენტის მისიის წარმატებისა ოკეანის გაღმა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში მეტად სკეპტიკურად ეკიდებიან თბილისის შანსს მიიღოს ნატოში გაწევრების გეგმა, ყოველ შემთხვევაში, რუმინეთის დედაქალაქის სამიტზე. „გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ჯერ ერთი, გუქარესტის სამიტს ეწვევა პრეზიდენტი პუტინი და საეჭვოა, რომ ნატოს გავლენიან წევრთაგან ვინმე დაინტერესებული იყოს იმით, რომ გააგათილოს ამ ვიზიტის ეფექტი“, – დარწმუნებული არიან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. გარდა ამისა, ისეთი ძვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, სერიოზულად ფიქრობენ იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყოფს ნატო საქართველოს უსაფრთხოებას მის ტერიტორიაზე ერთბაშად ორი გაყინული კონფლიქტის არსებობის პირობებში. „ახლა მიმდინარეობს ბრძოლა. ერთი მხრივ, ვაშინგტონი ცდილობს საქართველოს მოაპოვებინოს ნატოში გაწევრებისთვის მოქმედების გეგმა, ხოლო მეორე მხრივ – იგი აწყდება ევროპელ ნატოელთა წინააღმდეგობას, რომლებსაც არ სურთ, რომ რუსეთთან უთანხმოების ნუსხას, რომელიც უკვე შეიცავს კონფლიქტებს კოსოვოს და ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გამო, შეემატება საქართველოსთან და უკრაინასთან დაკავშირებული პრობლემები“, – დასასკვნა მაღალი თანამდებობის დიპლომატმა რუსეთის საგარეო უწყებაში.

ვლადიმერ სოლოვიოვი,
ვლადიმერ ნოვიკოვი

Коммерсантъ

№ 51. ოთხშაბათი, 19 მარტი, 2008 წელი.

დახმარებისთვის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

გაეროს გენერალურ მდივანთან პან გი მუნთან შეხვედრით დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში. ვიზიტი 20 მარტამდე გასტანს. მის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან, გენერალურ მდივანთან კონდოლიზა რაისთან, თავდაცვის მინისტრთან რობერტ გეიტსთან.

გამგზავრებამდე მიხეილ სააკაშვილმა აეროპორტში ძვეყნის გადარჩენისთვის ყველა პოლიტიკურ ძალას გაერთიანებისკენ მოუწოდა. „ნატოში ჩვენი შესვლის თაობაზე დიდი ბრძოლა მიმდინარეობს... ჩრდილოელი მეზობლის მოქმედების გამო კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით“, – განაცხადა მან.

სწორედ მიმართვაში ნახსენებ პრობლემებს მიეძღვნება მოლაპარაკება შეერთებულ შტატებში. რუსეთის ამასწინანდელმა გადაწყვეტილებამ, გამოსულიყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ბლოკადური რეჟიმიდან სააკაშვილის დაპირებანი ძვეყნის ტერიტორიული აღდგენის თაობაზე მოჩვენებითი გახადა. უფრო ადრე – შარშან 7 ნოემბერს დეპონსტრანტების დარბევის შემდეგ გართულდა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიღების საკითხი: გერმანია და საფრანგეთი ილაშქრებენ ნატოში შესვლისთვის მოქმედების გეგმასთან ძვეყნის შეერთების წინაღმდეგ. ამ გეგმის გარეშე კი ალიანსში შესვლა შეუძლებელია.

ანალიტიკოსთა აზრით, სააკაშვილი ეცდება ამერიკის მმართველი ელიტა დაარწმუნოს, გავლენა მოახდინონ ევროპელ მოკავშირეებზე, რათა გუქარესტში ნატოს აპრილის სამიტზე საქართველომ მაინც მიიღოს გეგმაში ჩართვის მიწვევა. რაც შეეხება სეპარატისტული რეგიონების თაობაზე მოლაპარაკებას, მათი შედეგები „შიდასარგებლობისთვისაა“ გათვალისწინებული: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი ამერიკელთა მორიგ მხარდაჭერას სააკაშვილი პირად გრანდიოზულ მილწევად წარმოაჩენს.

კომპრომისისთვის პრეზიდენტის მოწოდებები გაერთიანებული ოპოზიციისადმი, რომელიც მეცხრე დღეა მასობრივ შიმშილობას განაგრძობს დედაქალაქსა და მთელ რიგ ქალაქებში, არავინ შეისმინა. უფრო მეტიც, ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ან, უკიდურეს შემთხვევაში, 5 იანვრის არჩევნების შედეგების გადასინჯვის და მთელ რიგ სხვა მოთხოვნებს გასულ შაგათ-კვირას კიდევ ერთი დაემატა: ხელისუფლებასთან მოლაპარაკების ჩაშლისთვის პარლამენტის სპიკერის პოსტიდან ნინო ბურჯანაძის გადადგომა. 19 მარტისთვის კი, როცა სააკაშვილი ჯორჯ ბუშს შეხვდება, გაერთიანებული ოპოზიცია აპირებს შეერთებული შტატების საელჩოსთან მრავალათასიანი საპროტესტო აქცია მოაწყოს. სხვათა შორის, გოლო დროს ასეთი ანონსი ყოველთვის ვერ სრულდება. კვირას მიტინგზე ათოგით ათასი მოვიტინგის ნაცვლად პარლამენტის შენობასთან, სადაც კარვების ქალაქში 60-მდე კაცი შიმშილობს, მხოლოდ რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა. როგორც „ნეზავისიმაია გაზეტას“ ტელეფონით აცნობა მიტინგის ერთ-ერთმა მუდმივმა მონაწილემ, ხალხი დაილალა აქციების უშედეგობით. თუმცა, ოპოზიციის ლიდერებს ეს არ აწუხებთ. მაგალითად, გიორგი ხაინდრავამ მოსახლეობას სთხოვა კარვები ეთხოვებინათ. მისი აზრით, მათი ყიდვა ჭირს, რადგან შიმშილობასთან შეერთების მსურველთა დიდძალი რაოდენობის გამო, ხელისუფლებამ სავაჭრო ძსელიდან ამოიღო კარვები. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ამ დღეებში გაერთიანებული ოპოზიციის დელეგაცია ვიზიტად მოსკოვს გაემგზავრება – „უკვე მუშავდება შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროში“. თბილისში მაშინვე გაჩნდა ჭორი, როგორც ჩანს, ხელისუფლების მომხრეთა მიერ გავრცელებული, რომ ოპოზიციონერები მიდიან არა საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრისთვის, არამედ აჭარის ყოფილ მეთაურთან ასლან აბაშიძესთან შესახვედრად – აქაოდა, გადრი პატარკაციშვილის სიკვდილის შემდეგ მათ ალარავინ აფინანსებთ. თუმცა დეპუტატმა კახა კუკავამ უარყო ასეთი სცენარის არსებობა: „მოსკოვში ვიზიტის შესახებ არ ვიცი, მაგრამ აბაშიძესთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად გამოვრიცხავ“. ამასთან გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნათა სია შეიძლება გაფართოვდეს აწ განსვენებული პატარკაციშვილის გოლო ხანს მივიწყებული ტელეკომპანია „იმედის“ ხარჯზე. ორშაგათს გარდაცვლილი გიზანეს-მენის დედა ნათელა პატარკაციშვილი საჯარო თვითმკვლელობით დაიმუქრა, თუ ხელისუფლება არ შეწყვეტს „იმედის“ გამო ზემოქმედებას. ამას წინათ ლონდონიდან დაბრუნებულმა გიორგი ხაინდრავამ, სადაც იგი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს შეხვდა, დაადასტურა, რომ „პირადად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია ყოველ ღონეს ხმაროებენ „იმედის“ ჩამორთმევისათვის“.

იური სიმონიანი

НЕЗАВИСИМАЯ

● ზუგდიდში თამუნამ გაიცნო დევნილი გიორგი და ეძვსი წლის წინათ გიორგიმ ის მშობლიურ ნასახლარზე მოიყვანა. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ გიორგი აფხაზეთის წინააღმდეგ არ იბრძოდა. ისინი, ვინც იბრძოდა, საერთოდ ვერ დაბრუნდებიან

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

გალის რაიონის კონსტიტუცია

კონსტიტუცია — ასე ეწოდება აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში ერთ-ერთ პატარა სოფელს. ეს უცნაური სახელი მას ეწოდა საბჭოთა კონსტიტუციის პატივსაცემად, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია იყო მსოფლიოში. ადამიანები, რომლის ყველა უფლებებსაც იგი უზრუნველყოფდა, ახლა შესცქერიან თავიანთ გადამწვარ სახლებს, რომლებიც ჯაგნარშია ჩაფლული.

ომამდე კონსტიტუცია გალის რაიონს ეკუთვნოდა. მაგრამ საქართველოს ჯარის განდევნის შემდეგ აფხაზეთის ხელისუფლებამ შეკვეცა გალის რაიონი და ტერიტორიის ნაწილი კონსტიტუციის ჩათვლით ტყვარჩელის რაიონს გადასცა. პატარა სოფელ კონსტიტუციის და მისი მცხოვრებლების გედი სარკესავით ასახავს აფხაზეთის ტრაგედიას, სადაც ოჯახებიც კი გაითიშა.

გზის პირას წარწერაა: „გზა გაეროს მისიის დახმარებით გარემონტდა“, მაგრამ მგზავროებისას ისე ჯანჯღარეგ, რომ გაეროს ავტორიტეტი სერიოზულად ილახება. ლევანის შესახებ ვიცი, რომ აფხაზეთის არმიის რეზერვისტია, კაპიტნის წოდება აქვს. ომში ორჯერ მონაწილეობდა: 1992-93 წლებში და 1998 წელს. 1998 წლის მაისის ხანმოკლე ომის შემდეგ, როცა ქართველმა პარტიზანებმა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მხარდაჭერით უშედეგოდ სცადეს აფხაზეთისთვის გალის რაიონი ჩამოეშორებინათ, იქ ერთ-ერთი სოფლის კომენდანტად მუშაობდა, წესრიგს ამყარებდა. შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციაში ჰუმანიტარულ პროექტებს ხელმძღვანელობდა. აფხაზეთის სანიმუშო მოქალაქის შეუბღალავი რეპუტაცია აქვს. ლევანის მამა ქართველმა პარტიზანებმა 1998 წელს მოკლეს, უკვე ომის შემდეგ.

„გალის რაიონში სოფლის კომენდანტი ვიყავი. მამაჩემიც იქვე მუშაობდა. ცოტა ხნით საქმეზე გავემგზავრე და ჩემი ავტომატი შინ დავტოვე. ამ დროს პარტიზნებმა მძევალი აიყვანეს. აფხაზებმა, ვისაც იარაღი ჰქონდა, გადაწყვიტეს იმ ბილიკების ბლოკირება, რომლებითაც პარტიზანებს შეიძლება მძევალი წაეყვანათ. მამაჩემიც ჩემი ავტომატით წავიდა. ისე მოხდა, რომ პარტიზანების ჯგუფს ის პირისპირ შეეჯახა. მამაჩემს ცამეტი ტყვია ესროლეს“. ლევანის ბიძაშვილი მეულლესთან ერთად სასაცილო სახელის მქონე სოფელ კონსტიტუციაში ცხოვრობს. იქ ჩამოვიდნენ პატარა მდინარე მიშონი, რომელშიც ადგილობრივნი თევზს იჭერენ. საერთოდ ეს ადგილი უფრო იმით არის ცნობილი, რომ საბჭოთა პერიოდში აქ იყო ცნობილი კახორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. კახორი ეს დიდი სოფელია კონსტიტუციის გვერდით.

დავინტერესდი, თუ როგორ ცხოვრობს აფხაზეთში ჩვეულებრივი ქართული ოჯახი, და ქალიან გამიკვირდა, როცა ლევანმა თავის ნათესავებთან სტუმრად წამიყვანა. დაუმთავრებელი ორსართულიანი სახლი. გარშემო თითქმის ყველა სახლი გადამწვარი ან დანგრეულია.

„სოფელში სახლების მხოლოდ ოცი პროცენტი გადარჩა, დანარჩენი გადამწვარია, — მითხრა ლევანის ბიძაშვილმა თამუნამ. — ისინი 1998 წელს, მაისის მოვლენების შემდეგ გადაწვეს. ჩვენი სახლიც დამწვარი იყო. ნუ გიკვირთ: მე ნამდვილი ქართველი ვარ და ძმარიც ქართველი მყავს. ეს ქართული სოფელია“.

აღმოჩნდა, რომ აფხაზი პატრიოტი ლევანი დედით ნახევრად ქართველია. სანამ ის იბრძოდა, ბიძამისი ოჯახთან ერთად იძულებული იყო აფხაზეთი დაეტოვებინა. ოჩამჩირის რაიონში მათი სახლიდან კედლებიც კი აღარ შემორჩა. იქ უკვე ტყეა.

ზუგდიდში თამუნამ გაიცნო დევნილი გიორგი და ეძვსი წლის წინათ გიორგიმ ის მშობლიურ ნასახლარზე მოიყვანა. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ გიორგი აფხაზეთის წინააღმდეგ არ იბრძოდა. ისინი, ვინც იბრძოდა, საერთოდ ვერ დაბრუნდებიან.

ცოლ-ქმარს არ აქვთ პასპორტები, არც საბჭოთა, რადგან მეტად ახალგაზრდები არიან, სხვას კი ჯერ არ აძლევენ. ასეთივე სიტუაციაშია გალის რაიონის მცხოვრები ქართველთა უმრავლესობა. ისინი ელიან, რომ გალე ყველაფერი შეიცვლება: ხელისუფლებამ უკვე გადაწყვიტა გალელებს აფხაზური პასპორტები მისცეს. ამის შემდეგ რუსეთის პასპორტებსაც მიიღებენ.

ტანდაბალი შავთმიანი ქალი ძლივს იკავებს ცრემლებს. მეორე წელია ირინე ფიფიამ, გალის ადმინისტრაციის თანამშრომელმა, არაფერი იცის იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია მის ქმარს დავით სიგუას. ის პირდაპირ სახლთან მის თვალწინ მოიტაცეს. „2007 წლის 3 თებერვალს დილის 4-ის ნახევარზე შეიარაღებული ხალხი შემოგვიცვივდა. — ჰყვება ირინე — დათო საწოლიდან პირველი წამოხტა და ქვემოთ გაიქცა, როცა მეც ჩავედი დავინახე, რომ ორ კაცს ჰყავდა დაკავებული“.

ირინეს პირი აუკრეს, გაკოჭეს, დავითი კი წაიყვანეს. მისი თქმით, თავდამსხმელებმა ერთმანეთს რუსულად გადაულაპარაკეს, თუმცა აშკარად კავკასიური გარეგნობის იყვნენ, კამუფლაჟზე კი ძველი ქართული დროშის გამოსახულება ჰქონდათ დაკერებული. დავით სიგუა სწორედ ის იყო, ვისაც ქართველი პატრიოტები „კოლაბორაციონისტებს“ უწოდებენ. ეროვნებით ქართველი ის ქალაქ გალის აფხაზური ადმინისტრაციაში მუშაობდა და გალის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო. ადგილობრივ მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა, რადგან აფასებდნენ რაგორც პატიოსან და წესიერ კაცს. ამბობენ, სწორედ გატაცების წინ მან ადგილობრივ მეგრულ მოსახლეობას მოუწოდა პატივი ეცათ აფხაზეთის ხელისუფლებისა და კანონებისთვის. „არ ვიცი, რა ვქნა, — ამბობს ირინე. — თბილისშიც ვიყავი, ოფიციალურად არავინ არაფერს ამბობს. არაოფიციალურად მირჩევენ, აფხაზებთან ეძებეო“. გალის ადმინისტრაციაში დარწმუნებული არიან, რომ ეს პოლიტიკური საქმეა. „თუ არა პოლიტიკის გამო“, სიგუა რატომ უნდა მოეტაცებინათ.

„გალის რაიონში ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაარსებობა ხელს არ აძლევს თბილისს, — თქვა რაიონის ადმინისტრაციის მეთაურმა ბესლან არშბამ. — ვიღაცას უნდა აქ სიტუაცია ააფეთქოს“.

უსაფრთხოების ზონაში, რომელშიც გალის რაიონიც შედის, სიტუაციას რუსი სამშვიდობოები აკონტროლებენ. ბოლო კრიზისის დროს, როცა საკაშვილი აფხაზეთს ძალისმიერი ოპერაციით დაემუქრა, ისინი, ბესლან არშბას შეფასებით, კარგად მოიქცნენ, „ულტიმატუმის ფორმით გააფრთხილეს საქართველოს მხარე, რომ აბრესია ძალისმიერივე გზით იქნება მოგერიებული“.

თანამებრძოლების სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწე საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში ალექსანდრე გიორგიევი ამას კატეგორიულად უარყოფს.

— მარტის დამდეგს ვითარება მართლაც გამწვავდა, რის გამოც დამატებითი მოძრავი საგუშაგოები ჩავაყენეთ მდინარე ენგურის გასწვრივ. ჩვენი ჯავშანტრანსპორტიორების ტყვიამფრქვევები მკაცრად მხარეთა განშორიშორების ხაზის გასწვრივ იყო მიმართული. ახლა სიტუაცია სტაბილიზებულია. სამშვიდობო კონტიგენტი მხოლოდ თავისი უშუალო საქმით როდია დაკავებული. მათი სამედიცინო გრიგადები დასახლებულ პუნქტებში მოქალაქეებს ილებენ.

— აქ ხშირად ხდება ხოლმე, რომ ხუთ სოფელზე ერთი ექიმიც კი არ არის, — თქვა მაიორმა პავლე ტიმენოვმა, რომელიც გალის რაიონში მოსახლეობასთან მუშაობას უწევს კოორდინაციას. — არ არის სამედიცინო აპარატურა, ადამიანებს 15 წელია ელემენტარული სამედიცინო შემოწმება არ გაუვლიათ.

„ავადმყოფის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა“, — ხუმრობს გალის მერი ვალერი ლომაია. და დასძენს: მართალი გითხრათ, აფხაზები ოპტიმიზმით ეკიდებიან ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება. სხვაგვარად როგორ გავძლოთ?

მარინა პერევოზკინა

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

თვითაღიარებულმა პრეზიდენტები

დნესტრისპირეთის ლიდერმა მოლდოვის პრეზიდენტს მოუწოდა პირდაპირი კონტაქტები განაახლონ. როგორც ჩანს, ეს ნაბიჯი მან მოსკოვის გავლენით გადადგა. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს კი საქართველოს ხელმძღვანელობასთან ანალოგიური მოლაპარაკების იმედი არც კი აქვს და პირდაპირ აცხადებს, რომ თბილისს „არ შესწევს კონსტრუქციული დიალოგის უნარი“.

რაც შეეხება აფხაზეთს, სოხუმს პრეტენზიები აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც უკმაყოფილონი არიან თვითაღიარებული რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთის სანქციების გაუქმებით.

ერთი მხრივ, თბილისს და მეორე მხრივ, სოხუმსა და ცხინვალს შორის ომის განუახლებლობის შესახებ შეთანხმება უახლოეს ხანში არ დაიდება. განმარტა რა მიხეილ საკაშვილის უარი მონაწილეობა მიიღოს ამგვარ შეთანხმებაში, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ საკაშვილი მსგავსი განცხადებებით „ცდილობს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების დესტაბილიზაცია მოახდინოს“.

„თბილისი იმ იმედით, რომ ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება შიდა პროგლემებს ჩამოაშოროს, გამუდმებით ეძებს შეიარაღებული დაპირისპირების საბაბს, — დარწმუნებულია კოკოითი. — სამხრეთ ოსეთის ხალხს გადაწყვეტილი აქვს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ცივილიზებული მეთოდებით დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა“. ეს გაზეთ „ვზგლიადს“ უთხრეს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრესისა და ინფორმაციის კომიტეტში. გარდა ამისა, ორშაბათს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ გაოცება გამოთქვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქციის გამო, რომლებმაც აფხაზეთის მიმართ თანამეგობრობის მიერ შემოღებული ეკონომიკური სანქციების რეჟიმიდან რუსეთის გამოსვლას გაუკეთეს კომენტარი. „ეს განცხადებები სრულიად არაობიექტურს და საეჭვოს ხდის მოლაპარაკების პროცესში მათ, როგორც შუამავალთა მონაწილეობას“, — აღნიშნა შამბამ.

მისი თქმით, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობენ გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის, აგრეთვე ეუთოს წარმომადგენლები, მაგრამ მოლაპარაკების მთელი ხნის განმავლობაში არავის გაუკეთებია განცხადებები აფხაზეთის ეკონომიკური გლოკადის მხარდასაჭერად. და ყველამ თავისი შეშფოთება გამოხატა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა გააუქმა ეს სანქციები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აღელვების საფუძველი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თბილისმა ჯერ კიდევ არ აიღო ხელი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან პროგლემის სამხედრო გზით გადაჭრის გეგმაზე. გაუქმებულ შეთანხმებაში არის პუნქტები, რომელთა ფარგლებშიც რუსეთი ვალდებულებას კისრულობს არ მიაწოდოს სამხედრო შეიარაღება და ტექნიკა კონფლიქტის ზონაში, აგრეთვე აღკვეთოს თვითაღიარებულ რესპუბლიკებში მის მოქალაქეთა გოევიკებად შეღწევის ცდები.

ანტონ დუგინი

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

დეპუტატები მხარს უჭერენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას

სახელმწიფო სათათბიროს თანამეგობრობის საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტმა 17 მარტს რუსეთის მთავრობას რეკომენდაცია მისცა დაიწყოს კონსულტაციები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხზე. ეს განაცხადა ამ კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე ზატულინმა.

„ჩვენი კომიტეტის რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცებულია პარლამენტის მოსმენის შედეგების თაობაზე რეკომენდაციების პროექტები, რომელშიც რუსეთის მთავრობას რეკომენდაცია ეძლევა დაიწყოს კონსულტაციები აფხაზეთისა და სამხრეს ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზნით“, — თქვა ზატულინმა.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ნაადრევია სახელმწიფო სათათბიროს პროექტის საბოლოო ტექსტზე ლაპარაკი. სახელმწიფო სათათბიროს დოკუმენტის შემაჯამებელ ვარიანტს პარასკევს პლენარულ სხდომაზე განიხილავს, მანამდე კი ოთხშაბათს კომიტეტის დამატებით რიგგარეშე სხდომაზე დახვეწს მას. თუმცა, როგორც ზატულინმა თქვა, „მისი ძირითადი დებულებები დაკავშირებული იქნება შესაბამისი პროფილის კომიტეტის რეკომენდაციებთან“.

როიტერის სააგენტოს მონაცემებით, განცხადების თავდაპირველ ვარიანტში, რომელიც გასულ კვირას სახელმწიფო სათათბიროში საპარლამენტო მოსმენისას განიხილეს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა ნახსენები იყო დნესტრისპირეთის რესპუბლიკა, თუმცა ახლა დეპუტატები აცხადებენ, რომ აქ „საქმე სულ სხვაგვარადაა“.

BBC RUSSIAN.com

უგვირგვინო მეფე

● გალაკტიონი თავისი ბუნებით აშუქებდა, თავისი სინამდვილით, თავისი იდუმალი ხედვით იყო ზღაპარი

◎ ერთი ფოტოსურათის ისტორია

მზის შესახვედრად გაცურა...

ყვავილებს განდობილი, სივრცეებისკენ მსწრაფი და ჩუმ-ობოლი

გარათი, რომელსაც ახლა გაგაცნობთ, 35 წელი ინახებოდა ჩვენი გაზეთის რედაქტორის არქივში. იგი 1973 წლის 11 დეკემბერს სამტედიის რაიონის სოფელ ჟაგანიდან მასწავლებელმა რაისა ნიკანდრის ასულმა არველაძემ გამოუგზავნა რედაქციას. მაშინ რატომღაც მისი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.

ჟამთა სვლამ მაინც თავისი გაიტანა. ძველ, გაყვითლებულ ფურცელს ხომ უფრო მეტი იდუმალება დაჰყვება, უფრო მეტად გვიზიდავს და გვაფორიაქებს. ამ გარათმა და ფოტოსურათმა კიდევ ერთხელ დამაფიქრა გალაკტიონზე – დღენიადაგ რაღაც საიდუმლოს მაძებნელ პოეტზე, ვინც სამუდამოდ მოგვივედრა „სულში გენიით ატეხილი ლერწამის რეკვა“ და „შორეული ცის სილაჟვარდე“...

49 წლის წინათ, მარტის უამურ ამინდში, მთაწმინდის მიწამ მიიბარა ქართული პოეზიის მეფე – გალაკტიონი!..

49 წლის შემდეგ, მარტის უამურ ამინდში, მთაწმინდის მიწამ მიიბარა ქართული პოეზიის დედოფალი – ანა!..

გარათის ავტორი წერს: „ამ სურათზე აღგეჭდილი არიან თბილისის სასულიერო სემინარიის II კლასის მოსწავლეები. გადაღებულია 1909 წელს (გალაკტიონიც II კლასის მოსწავლე იყო ამ დროსაც). სურათი ინახებოდა ჩვენს ოჯახში. საძმე ის არის, რომ მამაჩემი ნიკანდრი არველაძე სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მამა ამჟამად გარდაცვლილია, მაგრამ გარკვევით მახსოვს, რომ ის ამბობდა: მე და გალაკტიონი თბილისის სემინარიაში ერთად ვსწავლობდით. ერთ ჯგუფში ვიყავით. 1910 თუ 1911 წელს მამაჩემი სემინარიიდან გაურიცხავთ სხვა ახალგაზრდებთან ერთად რაღაც კრების გულისთვის. შემდეგ დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია და 10 წელი მასწავლებლობდა. სურათზე ზევითა რიგშია მარცხნიდან მეხუთე სუსტი ახალგაზრდა, თბილისის სემინარიაში გადაღებული ეს ერთი სურათი აღმოგვაჩნდა.

აქ, სამტრედიაში, მოვძებნე ძველი თაობის ხალხი (უმთავრესად, პენსიონერი მასწავლებლები, რომლებიც ახალგაზრდობაში იცნობდნენ გალაკტიონსაც. მათი მიგნებით და ჩვენი ვარაუდითაც, გ.ტაბიძე ქვევითა რიგში ზის, მარცხნიდან მეორე, ორი თუ სამი ყვავილი უჭირავს“...

ბევრი ფიქრი არ სჭირდება სურათზე გალაკტიონის ამოცნობას, ყვავილებიც მხოლოდ მას უჭირავს, 18 წლის ახალგაზრდას პოეტური სული აქაც გამოარჩევს. უკვე ერთი წელია, რაც ქუთაისი დატოვა და თბილისის სემინარიის კარები შეაღო. თბილისი მისთვის ასპარეზზე გამოსვლისა და ფრთების გაშლის ქალაქია... პირველი ლექსებით და პოემებით ზედიზედ დაიპყრო ჟურნალ-გაზეთების რედაქციები.

„... ბნელი საკნიდან ამოვედი თავის უფალ ასპარეზზე და ყველგან, სადაც თვალი გასწვდებოდა, იყო მზე, მოძრაობა და სინათლე“, – წერდა პოეტი.

ამ ასაკში სული ღელავს, ფორიაქობს, ლაჟვარდებს ეტრფის... მას, მეოცნებეს და თავისებურს ყველანი გამოარჩევენ – მოსწავლეებიც და პედაგოგებიც. სემინარიაში შესვლიდან ცოტა ხანში აღმოჩნდება, რომ გალაკტიონი გულს ვერ უდებს სწავლას, ეგზამენები მისთვის საშინელ ტანჯვად გადაქცეულა: რამდენიმე დღის განმავლობაში ათი წლის სიცოცხლე მომაკლდაო.

სწორედ 1909-10 წლებში მას ორები გამოჰყვა მსოფლიო სამოქალაქო ისტორიაში, ალგებრასა და ფრანგულში...

„მე მტანჯავენ, მაწვალებენ მისთვის, რომ ვერ ვსწავლობ; არ ფიქრობენ კი იმას, შემიძლია ვისწავლო თუ არა?... ავიღებ ხელში კისელიოვის ალგებრას და მინდა ხელი გიტარაზე ან მანდოლინაზე გავაცურო, ვიმღერო. ავიღებ ხელში ილოვაისკის „ძველ ისტორიას“ და მინდა ვხატო“...

სიჭაბუკიდანვე შეუცნობელს ელტვოდა... რაღაც შეუცნობელი სევდის მინაგვარი სულს მიხუთავსო, – წერდა. გალაკტიონის ძმის შვილი, გატონი ნოდარ ტაბიძე პოეტის ცხოვრების ამ პერიოდს ასე ახასიათებს: „გალაკტიონი მაინც სევდიანი და დრამატულია. სული შფოთავს, უკმარისობის განცდა ახრჩობს“.

„შეუცნობელი სევდის მინაგვარი“ ერთია, მეორეა სამშობლო, მისი ბედ-იღბალი. ყრმა პოეტის კაეშნიანი სული ერის გადაგვარებასა და დაუძლურებაზე მოთქვამს...

ამ ყველაფერს ამძაფრებს ისიც, რომ გალაკტიონი კლასიდან კლასში არ გადაიყვანეს და... კარბოლმჟავა დალია!...

არ შეიძლება არ შეგაჟრჟოლოს ამ გაგონებაზე. ჭაბუკი პოეტი უკვე თვითმკვლელობისკენ მიდრეკილია და ხმიანობს სული, ობოლი:

„საით მივყავარ ჩემს
მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას
მიუსაფარი“?

ერთი შეხედვით, „მზე, მოძრაობა და სინათლე“ სწყურია, მზეს ხედავს კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... ჭაბუკი გალაკტიონი პირველივე ლექსებში გაღის ბილილას და ცვარს ევედრება:

„გთხოვთ, გევედრები
მიტვირთო,
შვების ცა გადამაფარო,
მომგეზრდა მთელი სამყარო,
მსურს შორს, შორს,
გავიჯირითო,
იდუმალებას შევერთო,
ვნების ცრემლები
დავლვარო...“

ამ ფოტოსურათზეც სწორედ ასეთი გალაკტიონია აღგეჭდილი, ყვავილებს განდობილი – სივრცეებისკენ მსწრაფი და ჩუმ-ობოლი...

მისთვის...მთავარი პოეზიაა, სხვა ყველაფერი თუნდაც საგნები – მეასეხარისხოვანი... როგორ შეიძლებოდა მის ღაღ სულს აეტანა თბილისის სასულიერო სემინარიის „შუგლვიწრო აღმზრდელები“, ანდა, პედაგოგიკის მაშინდელი ჩამორჩენა, ზოგიერთი საგნის დახავსებულობა... ამიტომაც საკუთარი სურვილით ტოვებს თბილისის სასულიერო სემინარიას და მის კედლებში ყოფნას სოფლის მასწავლებლობას არჩევს...

სივრცეები უკვე უხმობენ! სული ძროლვის გარეშე მისთვის არაფერია... მთელი ცხოვრება თითქოს ამ წამისთვის – ერთი დიდებული გაძროლებისთვის ემზადებოდა. „უცნაური იყო... მოდიოდა ქუჩაში, უმალ მიხვდებოდი, ჩვეულებრივი კაცი არ იყო. მოდიოდა და მოარღვევდა სამყაროს... გალაკტიონი თავისი ბუნებით აშუქებდა, თავისი სინამდვილით, თავისი იდუმალი ხედვით იყო ზღაპარი. ზოგჯერ, იმასაც ფიქრობ, იყო კი ის, საერთოდ, ჩვეულებრივი, ნორმალური კაცი? არა და არა...“ – ბრძანა ერთხელ ნოდარ ტაბიძემ. შემდეგ დაურთო – საოცრება იყო, მისი სახით ღმერთი დადიოდა, ალბათ“...

ამიტომაც მარტის ერთ ქარიან დღეს – 1959 წლის 17 მარტს სარკმელი გამოალო და თავის მიერვე აგებული ტანჯვა-წამების ტაძრიდან მზის შესახვედრად გაცურა...

თამარ შაიშმელაშვილი

სურათზე: პირველ რიგში, მარცხნიდან მეორე გალაკტიონ ტაბიძე.

◎ ინფორმაცია

გადაიხდიან ძველ დავალიანებებს

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ძველი სახელფასო დავალიანებების გასტუმრებას იწყებს. ამის შესახებ კომპანიის გენერალურმა დირექტორმა სულხან ზუმბურიძემ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, წელს იგეგმება სახელფასო დავალიანების 1/5-ის, დაახლოებით, 600 ათასი ლარის გაცემა.

სულხან ზუმბურიძის თქმით, ამჟამად კომპანიაში 1200 თანამშრომელია, მათი საშუალო ხელფასი კი 600 ლარს შეადგენს.

ექსპორტმა იმპორტს აჯობა

საქართველოდან 2007 წელს განხორციელებული ელექტროენერგიის ექსპორტის მოცულობა იმპორტზე 36%-ით მეტი იყო. ამის შესახებ ჟურნალისტებს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გენერალურმა დირექტორმა სულხან ზუმბურიძემ განაცხადა.

ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი შარშან საქართველოს რუსეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან ჰქონდა. რაც შეეხება სომხეთს, ზუმბურიძის თქმით, ამ ქვეყანასთან 2007 წელს საქართველოს ელექტროენერგიის გაცვლა არ ჰქონია.

კიდევ ერთი დაზარალებული სუბარის იმედზე

რუსთაველის გამზირ №30-ში მდებარე ფართის ყოფილმა მესაკუთრემ მზია კაკაბაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ლელა კალიჩენკოს კანონდარღვევების შესწავლის თხოვნით საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა.

განცხადებაში კაკაბაძე სახალხო დამცველს სთხოვს, მისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს მის მიმართ ჩადენილი უხეში კანონდარღვევის ფაქტები და სათანადო რეაგირება მოახდინოს.

2007 წლის ივნისში კაკაბაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

სასარჩელო განცხადებით იგი 2006 წლის 23 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ფინანსური პოლიციის მიერ ჩამორთმეული ფართის დაბრუნებას ითხოვს, სადაც განთავსებული იყო „სონი ცენტრი თბილისი“, „ლაზერი-2 თბილისი“ და „კაფე რუსთაველი“.

სარჩელი ამავე წლის ივნისში სასამართლომ წარმოებაში მიიღო და მოსამართლე ლელა კალიჩენკოს დაეწერა.

სარჩელის დროულად განხილვის თხოვნით, კაკაბაძემ წერილობით არა ერთხელ მიმართა მოსამართლე კალიჩენკოს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი კანონიერი უფლებები ილახება.

ინტერპრესნიუსი

სპორტი

როგორც იქნა, კულტურას, სპორტს მოსცილდა ავზნედ მოვლინებული პიროვნება. მოსცილდა და ნატყვიარი დატოვა თეატრი, კინომრეწველობა, ბიბლიოთეკა, სპორტი...
ეშველება, ნეტავ, რამე ახალი მინისტრის ხელში ყოველივე ამას?

◎ ორბიტაზე

მწვანე კონტინენტზე დაიწყო



სწორედ შორეულ ავსტრალიაში ტრადიციულად დაიწყო ავტორბოლაში „ფორმულა-1“-ის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. მელბურნში გამართულ პირველ ეტაპზე „ავსტრალიის გრან-პრი“ გაიმარჯვა „მაკლარენის“ შარშან „აღმოჩენილმა“ ახალგაზრდა პილოტმა, ბრიტანელმა ლუის ჰემილტონმა. რბოლის შემდეგ მან თავის ბოლიდზე თქვა: „მანქანა უბრალოდ ფენომენალური იყო... იმათი ნამდვილი ოცნება, ვინც ამ სეზონში გამარჯვებას ფიქრობს... ფაქტობრივად რბოლამ ლაღი ნიავივით ჩაიქროლა და საშუალება მოგვცა მშვენივრად მოვემზადოთ მალაიზიისათვის“.

პირველ რბოლას უინციდენტოდ არ ჩაუვლია. 26-ე წრეზე „რედ ბულის“ პილოტი დევიდ კულტჰარტი ავარიის გამო შეჯიბრს გამოეთიშა, რაშიც „ფერარის“ პილოტი ფელდიპე მასსა დაადანაშაულა, თუმცა ბრაზილიელმა უმალ იმართლა თავი.

ვის დარჩება თასი?

ესპანური „სევილიის“ წარმომადგენლებმა მანჩესტერში ჩაიტანეს უეფას თასი, რომელიც კლუბმა 2006-07 წლების საფეხბურთო სეზონში მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ სწორედ აქ 14 მაისს გაიმართება ამ საპატიო პრიზის წლევანდელი გათამაშების ფინალი.

სურათზე: უეფას თასი მანჩესტერში ჩაიტანეს ანდრეს პალოპმა (მარცხნივძ და დანიელ ალვეშმა.

ახალი საფეხბურთო ჰიმნი?

სახელმწიფო ჰიმნის ნაცვლად საფეხბურთო მატჩების წინ ისრაელში ალბათ მალე აჟღერდება „უმაღლესი ლიგის ჰიმნი“. პრინციპში, ეს სიახლე, შესაძლოა, გავრცელდეს ისრაელის ჩემპიონატის დაბალ ლიგებზეც.

საინტერესოა, რომ ჰიმნთან დაკავშირებით სიახლე მოდის ტელევიზიის პირველი არხიდან, სადაც რომელიღაც ახალი ჰიმნი შესრულდა წლეანდელ იანვარში და ფედერაციის ხელმძღვანელობას ძალზე მოეწონა.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ ახალი ჰიმნის დაწერა ჯერ არავის უკისრია, ისე რომ ახალი ჰიმნი ალბათ არ იქნება შემოღებული 2008-09 წლების სეზონის დასაწყისისთვის.

რინგის მშვენებანი

აბა, რომელ სპორტსმენს არ მოეწონება, როცა გულშემატკივრები მის სახელს ტრიბუნებიდან აღტაცებითა და სიყვარულით იმეორებენ, გაზეთები კი აჭრელებულია მათი ინტერვიუებითა და წერილებით მათ წარმატებებზე.

ეს ბევრად განსაზღვრავს ასპარეზზე გასული სპორტსმენის ფსიქოლოგიურ განწყობილებას, რამაც, შესაძლოა, გამარჯვებაც მოუტანოს.

ინგლისურ The Sun შეწუხებულია იმ მოკრივეების გუნება-განწყობილებით, „ნისლოვან ალბიონს“ რომ წარმოადგენენ საერთაშორისო არენაზე. ამიტომაც დაიწყეს თავიანთ ფურცლებზე იმ ლამაზმანების ფოტოების ბეჭდვა, თავიანთ ღირსება-მომხიბვლელობას რინგზე რომ წარმოაჩენენ.



როგორც ამ გამოცემიდან ჩანს, ასეთი ფოტოსურათები სპორტულ ჰოტენციას უმაღლებს ინგლისელ მოკრივეებს და შესაძლებლობას აძლევს მათ, როგორც თანაბრებმა ებრძოლონ რინგის ბევრ ვარსკვლავს.

◎ ჰოზიცია

კალამი ხელში ამაღებინა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა წერილმა „ლიტერატურა ძალიან ძალიან ნაყვარება მინისტრსო“.

ლიტერატურა რაა, სპორტი როგორ ნაყვარება გაბაშვილს?

შესაძლოა, კიდევ ამ კაცუნაზე დაწერა არც იყოს საჭირო და აუცილებელი, მაგრამ სპორტის სიყვარულს რა ვუყო, ბავშვობიდან რომ მომდევს!

ჰოდა, გთხოვთ, მომცეთ საშუალება, დავიცალო სათქმელისგან!

ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა მაქვს განვლილი, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, მინისტრი კაცი იმ სახელს დაირქმევდა ბავშვობაში, ეზოში თუ ოჯახში რომ ეძახდნენ: გოკა. პასპორტში ხომ ღირსეული სახელი აქვს დაფიქსირებული.

ეს ისე, სხვათა შორის.

ახლა საქმეზე.

ლიტერატურის სიყვარული რაა, ახლა სპორტს არ იკითხავთ?

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა სპორტის სიყვარულის დემონსტრირება იმით დაიწყო, რომ ფეხბურთის ფედერაციაში არნახული ფარსი დაატრიალა: პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა, ფარული კენჭისყრა მოეწყო, დიდი უპირატესობით ვეტერანმა ფეხბურთელმა, საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ გაიმარჯვა, ყოფილმა პრეზიდენტმა ახალკაცმაც მიულოცა გამარჯვება, და მინისტრმა ბრძანა: ეს როგორო? გამარჯვებულ ნემსაძესაც სულ რაღაც ერთ საათში „ნებაყოფლობით“ გადადგომაზე განცხადება დააწერინეს. აუხსნელი მოტივით ყრილობა ისევ მოიწვიეს და...

წყალში ჩაიყარა შეხვედრები რეგიონულ საფეხბურთო ფედერაციებში, წინასაარჩევნო ინტერვიუები, საჯარო გამოსვლები... მინისტრი კი ამაყად, გაბადრული სახით აცხადებდა: აბა, რა ეგონათო.

მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში, ყველაზე ჩამორჩენილშიც კი, მსგავსი ერთი შემთხვევაც მომაგონონ და მზად ვარ, საქვეყნოდ ბოდიში მოვიხადო.

მანამდე, ისევ ფეხბურთს მივუბრუნდეთ.

ფედერაციაში მომხდარ სამარცხვინო ამბავს არანაკლებ ამაზრზენი ფაქტი მიაყოლეს: თითქმის მოსპობის პირას მიიყვანეს სპორტის ეს სახეობა ასეთი უდიდესი ტრადიციების მქონე ქალაქებში, როგორიცაა ფოთი და ქუთაისი.

უნებლიედ გამახსენდა (მეხსიერებას ჯერ არ ვუჩივი!ძ ყოფნა-არყოფნის სამამულო ომი. ქვეყანა შუაგულ ომში იყო, როცა კუიბიშევში „კრიალა სოვეტოვის“ ფეხბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბეს.

ეს იყო 1943 წელს.

სპორტის აკადამიაზე მოგახსენებდით.

სახელგანთქმული სპორტსმენების აღმზრდელი აკადემია ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ფუფუნებააო... და სხა ინსტიტუტს მიუერთეს. სპორტის მინისტრის ცოდვა გაათკეცდა, როცა ოლიმპიური ჩემპიონები ზ. ზვიადაური და გ. ასანიძე აღმზრდელ აკადემიას დაუპირისპირა, აკადემიისგან ჩვენ არაფერი შეგვიძენიაო, სახალხოდ განაცხადეს (თუ განაცხადებინესძ ჩემპიონებმა(?!)

ისევ სამამულო ომი გავიხსენოთ: კიევში, ქალაქის ნამხვრევ-ნამტვრევებზე, გაგანია ომის დროს, 1944 წელს დაარსდა ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ჩვენთან მშვიდობიან დროს მოშალეს?!

კვანტებ-მოგვერდების კორიანტელი დააყენა სპორტის „მოსიყვარულე“ მინისტრმა ოლიმპიურ კომიტეტშიც, სადაც უკადრებელი იკადრა: სახელგანთქმულ ფალავანს, ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცეპრეზიდენტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლერი ხაბელოვს უარი უთხრეს პრეზიდენტის ფუნქციის შესრულებაზე, ისიც დროებით – ყრილობის მოწვევამდე.

აფერუმ, შენს ვაჟკაცობას, მინისტრო, უკაცრავად, მინისტრყოფილო: სპორტი როგორ გყვარებია, ხომ ვნახეთ, თურმე ქვეყანაც, ხალხიც როგორ გყვარებია?!

როგორც იქნა, კულტურას, სპორტს მოსცილდა ავზნედ მოვლინებული პიროვნება. მოსცილდა და ნატყვიარი დატოვა თეატრი, კინომრეწველობა, ბიბლიოთეკა, სპორტი...

ეშველება, ნეტავ, რამე ახალი მინისტრის ხელში ყოველივე ამას?

ხვალის იმედით
გიორგი მახარაძე,
ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

◎ ჭიდაობა

ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობისა

თბილისში ორ დღეს გრძელდებოდა სახელოვანი ფალავნის ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი, რომელშიც 1991-1992 წლებში დაბადებული 200-ზე მეტი თავისუფალი სტილით მოჭიდავე მონაწილეობდა, მათ შორის – სომხეთის წარმომადგენლები. რომ არაფერი ვთქვათ საპრიზო ადგილებზე, სტუმრებმა ხელს სამი ოქროს მედალიც გააყოლეს. საგულისხმოა, რომ ზაფხულში ამ ასაკის მოჭიდავეები ევროპის პირველობაზე იაპარეზებენ და ეს შეჯიბრება იმ ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპიც გახლდათ, ამიტომაც გვესტუმრნენ მეზობლები ძლიერი შემადგენლობით, რათა ჭაბუკთა ნაკრების პირველი ნომრები გამოეცადათ.

ასპარეზობა, რომლის ორგანიზებაშიც დიდი წვლილი თავად ბატონ ზარბეგს მიუძღვის, საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. მწვავე ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: აკაკი მოწონელიძე, ლაშა ტალახაძე, ლევან ქელეხსაშვილი (სამივე – ხაშურიძ, ვალტერ მარქარიანი, რასუნც ბეგლარიანი, სერგეი ოვსეპიანი (სამივე – სომხეთიძ, ლევან გოგრიჭიანი (თბილისიძ, საბა სტურუა (სამტრედიაძ, დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგიძ, გიორგი ასლანიშვილი (კაზრეთიძ.

ზარიბეგ ბერიაშვილის სპეციალური პრიზი გოგრიჭიანს გადაეცა.

ლექსო ცინცაძე

◎ ეს საინტერესოა

ბაშთურქი – კიდევ ერთი „ჩვენებური“ გერმანულ ფეხბურთში

რამდენიმე დღის წინათ დიდი ინტერესით წავიკითხე შუშანა ფუტკარაძის ფუნდამენტური ნაშრომი „ჩვენებურების ქართული“, რომელშიც არაერთხელ არის ნახსენები ბაშთურქების გვარი. ბურსის ვილაიეთის ქართველების ქალაქ ინეგოლასა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბაშთურქებს, თურმე, კარგად ახსოვთ თავიანთი ძირძველი გვარი ვახტანგიძე.

ამ სტრიქონების წაკითხვისას უნებურად გამახსენდა ბუნდესლიგის შარშანდელი ჩემპიონის „შტუტგარტის“ სასტარტო შემადგენლობის წევრი ილდიარაი ბაშთურქი. მგონი, იგი გერმანიაშია დაბადებული. მაგრამ მშობლები წარმოშობით თურქეთიდან არიან. მაშ, ისინიც ვახტანგიძეები ყოფილან?!...

საიდან წარმოიშვა გვარი ბაშთურქი?

ამასთან დაკავშირებით, ჩემი მოკრძალებული ვერსია მინდა შემოგთავაზოთ: კლარჯეთის მდინარე ჭოროხის მრავალ შენაკადს შორისაა მურღულის წყალი, რომელსაც ბაშქოის ღელე ერთვის. იგი სოფელ ბაშქოიში ჩამოედინება. ბაშთურქების გვარის საწყისი, სავარაუდოდ, ამ სოფლის დასახლებაში უნდა ვეძიოთ.

მთავარი მაინც ის არის, რომ ბაშთურქები ძირძველი ქართული წარმოშობის ვახტანგიძეები ყოფილან.

გიორგი გურული

◎ ჯანსაღი ცხოვრების წესი

მოწევას – ოჯრი

ბოლო ხანებში გერმანიის მთავრობა კანონის ძალით ცდილობს, ქვეყნის მოქალაქეები აიძულოს ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი მორჩილება. ახლა ბარებსა და რესტორნებში აკრძალულია თაბაქოს მოწევა. ზოგიერთი გერმანელი ფიქრობს, მოწევა აქციოს ერთგვარი რელიგიურ წეს-ჩვეულებად, რათა კანონს არ დაემორჩილოს. მთავრობა მიღწეულით როდია კმაყოფილი. საქმე ფეხბურთის ფანატებამდეც კი მივიდა. გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს მოწევის აკრძალვას სტადიონებზეც ქვეყნის პირველობებსა და თასების გათამაშებაზე. ამაზე ფრანკფურტში გამართულ სხდომაზე განაცხადა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვოლფგანგ ნირბახმა. ვნახოთ, რას იტყვიან ამაზე თავად გულშემატკივრები.

ᲓᲠᲝᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲐ

ჩვენს შეშფოთებასაც სწორედ ის იწვევს, რომ ახალგაზრდა ბიჭების მკვლელები გარეთ დასეირნობენ, საბავშვო სათამაშოს ქურდობისთვის კი არასრულწლოვანებს წლობით აპატიმრებენ

◎ თემიდა

რამდენიმე დღის წინათ, ლაგოდეხის საპატრულო პოლიციის უფროსი დავით ღვალაძე თავისი „ნივის“ მარკის ავტომობილით სოფელ კავშირში ფეხით მოსიარულეებს ილია ყორღანაშვილს და გია ჭილლაძეს დაეჯახა. ყორღანაშვილის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა. იგი ტვინის შერყევითა და მრავლობითი მოტეხილობებით თბილისში, რკინიგზის საავადმყოფოში მკურნალობს. ლაგოდეხის საპატრულო პოლიციის შეფი დავით ღვალაძე ამ დროისთვის დაკავებულია, მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას კახეთის სამხარეო პროკურატურა აწარმოებს. სამწუხაროდ ეს ფაქტი ერთადერთი არ გახლავთ. ანალოგიური შემთხვევა რამდენიმე თვის წინათ თელავშიც დაფიქსირდა...

პატრული დანაშაულს თვითონ სჩადის

ამას წინათ, თელავში ნასვამი საპატრულო პოლიციის თანამშრომელი **გესიკ მრელაშვილი** თავისივე კუთვნილი ავტომობილით 20 წლის თელაველ **გიგა ჩარბაძეს** დაეჯახა. ავარიის შედეგად მძიმედ დაზარალებული ჩარბაძე დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ახალგაზრდა მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

საგულისხმოა ისიც, რომ შემთხვევის ადგილას მისული პოლიცია დანაშაულის დაფარვას შეეცადა და გამოძიების ინფორმაციით ყალბი დოკუმენტები შედგა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მრელაშვილმა გირაოს სახით, **25 000** ლარი გადაიხადა.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. ხსენებული ავტოავარია თელავში მოძმედ ერთ-ერთ საკაბელო ტელევიზიის შენობასთან მოხდა. ტელეკომპანიას კი ფასადზე ვიდეოკამერა აქვს დამონტაჟებული და საგედნიეროდ იმ მომენტში პირდაპირ ეთერში სწორედ ავარიის დეტალები გადაიცემოდა.

გარდაცვლილის ოჯახი სასამართლოს მიკერძოებულობასა და არაობიექტურობაში ადანაშაულებს და პოლიციელის გავლენიან ახლობლებსაც ასახელებს, სადაც ძმები ადეიშვილების გვარიც იკვეთება.

ზაზა ჩარბაძე (გარდაცვლილის მამა): „გესიკ მრელაშვილს ძალზე ახლო ურთიერთობა აქვს ყოფილ გენერალურ პროკურორთან და მის ძმასთან **დავით ადეიშვილთან.** როდის იყო ადამიანს მკვლელობისთვის მხოლოდ გირაოს უფარდებდნენ, თუ მას გავლენიანი პირები არ მფარველობდნენ? მრელაშვილის სიმამრმა ისიც კი შემოგვითვალა, „ყველაფერს გადავიხდი, რასაც მოითხოვთ, ოღონდ არ იჩივლოთო“. ზეწოლას ახორციელებენ ჩემი შვილის მეგობრებზეც. რა თქმა უნდა, კატეგორიულად მოვითხოვთ დამნაშავე მთელი სიმკაცრით დაისჯოს.“

ოფიციალური ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი **გესიკ მრელაშვილი** ადვოკატ **თამარ მეტრეველთან** ერთად, კახეთის საოლქო პროკურატურაში მეორე დღის 4 საათზე გამოცხადდა.

ვაჟა მაღრაძე (კახეთის საოლქო პროკურორის მოადგილე: „პროკურატურისთვის უცნობია, სად იმყოფებოდა მანამდე მრელაშვილი. საპატრულო პოლიციას იგი შემთხვევის ადგილზევე უნდა დაეკავებინა და კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო მოქმედება განეხორციელებინა. მანქანა კი საჯარიმო სადგომზე უნდა გადაეყვანათ და მრელაშვილისთვის უფლება არ უნდა მიეცათ, იგივე ავტომობილის მართვა გაეგრძელებინა. ნარკოლოგიურში მისი შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ იგი საშუალოდ ნასვამი იყო, რასაც არ დაეთანხმა. ამიტომ თბილისის ნარკოლოგიურ სამსახურს მივმართეთ და აქ უფრო დიდი პროცენტი დაუდგინდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ინციდენტის დროს უფრო მეტად მთვრალი იქნებოდა.“

გამომძიებელი **ზურა ბეგიაშვილი** განმარტავს, რომ დანაშაული მოქმედი კანონმდებლობის თანახმად 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ტრადიციულად, ამსაკითხებზე არ საუბრობენ არც საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოში.

თავად გესიკ მრელაშვილი ბრალდებებს უარყოფს. მისი თქმით, ავტოავარია გარდაცვლილის მიზეზით მოხდა, რადგან მან მანქანას წინ გადაურბინა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისი გამოქიებას ეჭვის თვალით უყურებს. მით უფრო, რომ პოლიციას მრელაშვილის სიმთვრალე ოფიციალურად არ დაუდასტურებია. „ჰიუმან რაითს უოთჩი“ იმასაც ხაზს უსვამს, რომ მომხდარით არც ერთი ქართული ტელეკომპანია არ დაინტერესდა.

„სიმართლეს არ შეესაბამება ის, თითქოს პროკურატურას რეალურად უნდოდა მრელაშვილისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდებინათ. ბრალდებამ აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობის თაობაზე შუამდგომლობა ფიქტიურად დააყენა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, გამორიცხულია, მოსამართლეს პროკურატურის შუამდგომლობა არ დაეკმაყოფილებინა. ბრალდების მხარემ სასამართლოში არასაკმარისი მტკიცებულებები შეგნებულად წარმოადგინა. ჩვენი ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება გენერალურ პროკურატურასთან იყო შეთანხმებული და ჩვენს შეშფოთებასაც სწორედ ის იწვევს, რომ ახალგაზრდა ბიჭების მკვლელები გარეთ დასეირნობენ, საბავშვო სათამაშოს ქურდობისთვის კი არასრულწლოვანებს წლობით აპატიმრებენ.“ – აცხადებენ ადამიანის უფლებათა ცენტრში და შესაბამის ორგანოებს სასწრაფო რეაგირებისკენ მოუწოდებენ.

საბოლოო ჯამში, თელავის სასამართლომ მრელაშვილს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. კახელები მიიჩნევენ, რომ რეგიონში „მოღვაწე“ პატრულის თანამშრომლები ბოლო დროს ძალზე აგრესიულად იქცევიან, ხალხი პრეზიდენტს დახმარებას სთხოვს და ვითარების გამოსწორებისკენ მოუწოდებს.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთიდან

◎ დასაქმება

ᲓᲐᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲯᲘ ᲡᲘᲚᲐᲯᲘᲐᲕᲔ?

(მემვიდე გვერდიდან)

წარმოდგენილ კომპანიებისაგან შევარჩევთ 50 საუკეთესოს, მათ უსასყიდლოდ გადაეცემათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობანაგებობები საკუთრებაში, მაგრამ ერთადერთი აუცილებელი პირობით, რომ იქ მოეწყობა გადამზადების პროფესიული სასწავლებლები, სადაც არა მარტო თავიანთ კომპანიებისთვის მოამზადებენ კვალიფიციურ სპეციალისტებს, არამედ სხვა კომპანიებისთვისაც, ვისგანაც იქნება მიწოდებაზე მოთხოვნა, რისთვისაც გასცემენ სათანადო მოწმობა-სერტიფიკატს. ჯერჯერობით განიხილება საკითხი – სწავლება ფასიანი იქნება, თუ უფასო, რათა ეს პროგრამა ერთნაირად მისაღები იყოს სოციალურად დაუცველი ადამიანისთვის.

გვაძვს ერთი შენიშვნა: იქნებ ასეთ სასწავლებლებში სწავლება ე. წ. მცოცავი გრაფიკით წარიმართოს? დაახლოებით იმის ანალოგიურად, როგორც ეს დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, ლონდონის კოლეჯებში ხდება? პიროვნება მუშაობს, რათა თავი ირჩინოს, მისთვის მოსახერხებელ პერიოდში კი სწავლობს კიდეც. იქნებ ღირდეს ამ საკითხზეც დაფიქრება? რადგან ბევრს არ შეეძლება, არ ეძნება ისეთი პიროვნები, რომ 2-3 წელი ისწავლოს, მცოცავი გრაფიკით კი მას მუშაობაც შეეძლება და სწავლა, ან გადამზადება.

არ ვიცი, რამდენი ადამიანი დასაქმდა შარშან, ან იმის წინ. ალბათ არა ათასობით, მაგრამ ნაწილმა ხომ მაინც იშოვა სამუშაო? უნდა ვალიაროთ, რომ ის, რაც დასაქმების პროგრამით დღემდე ხორციელდება, დასაქმება კი არა, სამთვიანი 200-ლარიანი დახმარებაა. იანვარში არაერთ ასეთ „დასაქმებულს“ შევხვდი, მათთან საუბარში ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს ადამიანები არსად, არც ერთ უწყებაში არ მისულან, რადგან საჭირო არც იყო, რეგისტრაციის შემდეგ მხოლოდ გეჭედდასმული ცნობით, რომელსაც გამგეობაში ერთ-ერთი მუშაკი იძლეოდა, ბანკში ფულის მისაღებად უნდა გამოცხადებულიყო.

გაიარეთ დიდუბეში, ე. წ. ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხიდთანნახავთ უამრავ ადამიანს, სამუშაოს რომ ელოდებიან, დგანან მხოლოდ ერთი იმედით, იქნებ დროებითი სამუშაო მაინც იშოვონ, არსად სკამიც არ არის, რომ დალლილ-დაძანცული ადამიანი რომ ჩამოჯდეს.

თამარ და ბიძინა სიჭინავები მარტვილიდან არიან ჩამოსული. ორი შვილი ჰყავთ, ორივე სტუდენტი.

სოფლიდან ჯერ მე წამოვედი, მერე მეუღლეც გამომყვა, იქ სამუშაო მაინც არაფერი იყო. ერთი შვილი ფასიანზე სწავლობს, მეორე – უფასოზე. ხომ უნდათ დახმარება? – ამბობს ბატონი ბიძინა.

– სოფელი მიატოვეთ?

– დროებით, ისე ჩავდივარ ხოლმე, ჩემს ნაკვეთს ვამუშავებ, მერე ისევ აქ გამოვრბივარ, რომ ფული ვიშოვო, ძირით ვცხოვრობთ. მე ძნელად ვშოულობ სამუშაოს, ჩემი მეუღლე კი ერთ „ახალი ქართველის“ ოჯახში მსახურობს. სადილს აკეთებს, ოჯახს უვლის. 9-დან საღამოს 6 საათამდეა იქ. მე ძირითადად პარკეტს ვაგებ, არც სხვა სამუშაოს ვერიდები, ხანდახან დღეში 30-40 ლარი მიშოვნია, ხან კი შეიძლება სიგარეტის ფულიც ვერ ავიღო. მაინც ვდგავარ და კლიენტს ველოდები. ასე ვწყალობ, ჩვენი საშველი კი არ არის. მარტვილში რომ ყოფილიყო რაიმე სამუშაო, ქალაქში ნამდვილად არ წამოვიდოდი, მაგრამ რა ვქნა, სხვა გამოსავალი ვერ ფერი ვნახე.

– პრეზიდენტმა საკაშვილმა კარგი პროგრამები წარმოგვიდგინა არჩევნების დროს. გჯერათ, რომ ვითარება შეიცვლება?

– ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ვითარება ნამდვილად შეიცვლება, სხვანაირად ალბათ არ შეიძლება პრეზიდენტი ბევრს კი დაგვპირდა, მაგრამ ნახევარიც რომ შესრულდეს, საქმეს ნამდვილად ეშველება. მთავარი მაინც სამუშაო ადგილებია, რომ ხალხი დასაქმდეს, აფსუს, ადრე რამდენი ქარხანა და ფაბრიკა იყო, უმუშევრად დარჩენილს მილიცია დასდევდა და მუშაობას აიძულებდა, ახლა კი, სადაა სამუშაო... თუ არ დაგვასაქმეს და უმუშევროება არ აღმოიფხვრა, ისე ვერც სიღარიბე დაიძლევა და ვერც მოსახლეობის უმრავლესობის ყოფა გაუმჯობესდება.

– დანაპირები რომ არ შესრულდეს, თქვენც მოუშიშლეებს ხომ არ შეუერთდებით?

– ისედაც არ მაკლია შიმშილი, მაგრამ ნუ დამძრახავთ და ამისათვის ნამდვილად ვერ ვიშიმშილებ, მით უმეტეს დღეს, როცა ვითარება ყოველნაირად დაძაბულია. არა მგონია, რომ ამ არეულობამ რაიმე სიკეთე მოიტანოს. ცოტა-ცოტა ორივე მხარემ უნდა დათმოს, ოპოზიციამაც და ოპოზიციამაც და ხალხზე მეტი იფიქრონ...

– ხალხზე მეტი იფიქრონო, ასე მსჯელობდნენ დღეს ჩემი რესპონდენტები, მარტო ერთი კი არა, რამდენიმე, ვისაც მე შაგათს, იმ ძარიან დღეს შრომის არალეგალურ ბირჟაზე გავესაუბრე. ადამიანებს, რომლებიც დღე და ღამ შრომობენ ლუკმა პურის საშოვნელად, მაინც არ გაბორტყლებულან, არ წუწუნებენ. იმედი აქვთ, რომ ჩიხიდან გამოსასვლელი გზა მოიძებნება, მთავარია მონდომება იყოს, და სილარიბეც ალბათ დაგვტოვებს. ვნახოთ, ჩვენც ეს გვინდა.

ნაზი იმნაიშვილი

სხვადასხვა

● სოჩხეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გოდერძი ცნობილაძემ, ღირსეული თანასოფლელის სადღეგრძელოს რომ სვამდა, ასეთი რამ გაანდო სუფრის წევრებს: ჩვენი სურვილია, რეზო ყიფიანის სახელი ეწოდოს სოჩხეთის საშუალო სკოლასო. მოიწონა, აიტაცა ეს აზრი მთელმა სუფრამ... სკოლის დირექტორმა თითქოს, ყველას სურვილი გააცხადა უპირველესად კი სოჩხეთელების სურვილი

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: შეიძლება თუ არა მშობლის უფლების აღდგენა იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა?

მაია ნორაკიძე

პასუხი: არა, ეს შეუძლებელია, კანონის თანახმად, არ დაიშვება მშობლის უფლების აღდგენა იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა.

* * *

კითხვა: 16 წლის გავთხოვდი. თავიდან ჩემი მეუღლე კარგად მექცეოდა, შემდეგ კი იგი გალოთდა. სახლში ყოველ ღამე მთვრალი მოდიოდა და მე და ჩემს არასრულწლოვან შვილს გვლანძღავდა და გვცემდა. როგორც იქნა, სასამართლოს ძალით გავეყარე, მაგრამ ახლაც არ გვასვენებს. მინდა ჩამოერთვას მშობლის უფლება და აეკრძალოს ჩემი 10 წლის შვილის შეურაცხყოფა. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება ჩამოერთვას მას მშობლის უფლება?

ანანო კვანტალიანი

პასუხი: მშობელს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება, თუ გამოირკვა, რომ იგი სისტემატურად არიდებდა თავს შვილების ალზრდას, ან გოროტად იყენებდა მშობლის უფლებას – სასტიკად ეპყრობოდა შვილს (შვილებსძ, მავნე გავლენას ახდენდა მასზე ამორალური ყოფაქცევით, ან თუ არის ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანი. აღნიშნულ საკითხზე უნდა მიმართოთ სასამართლოს.

* * *

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა დრო ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ?

ლევან მჟედლური

პასუხი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1320-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

* * *

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რამ შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულების შეწყვეტა?

ანასტასია გიორგაძე

პასუხი: ვალდებულების შეწყვეტას იწვევს ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით. აღსანიშნავია, რომ ძირითადი მოვალისათვის ვალის პატიება ათავისუფლებს თავდებ პირებსაც.

* * *

კითხვა: მყავს 14 წლის გოგონა, რომლის მამასთან განქორწინებული ვარ. მამა ბავშვს ყოველთვიურად უხდის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ალიმენტს. ბავშვი ხშირად ავადმყოფობს, რაც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვალდებულია თუ არა მამამისი დამეხმაროს ბავშვის მკურნალობის თანხების გადახდაში?

იაგო ბაბუციძე

პასუხი: დიახ, აქვს ასეთი ვალდებულება. კანონის თანახმად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილს (შვილებსძ, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით, „ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით“ და სხვა.

* * *

კითხვა: ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში. უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში დამსაქმებელმა სამუშაოთი ვერ უზრუნველგვყო სათანადო ნედლეულის უქონლობის გამო. ეკონომიურად ძალიან მიჭირს. მეუღლეც უმუშევარია. მომეცემა გასული თვეების ანაზღაურება სრულად?

რევაზ აძუბარდია

პასუხი: თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას დასაქმებულს შრომის ანაზღაურება სრული ოდენობით უნდა მიეცეს. „საფუძველი: საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი“.

* * *

კითხვა: რა შემთხვევაში ჩაითვლება გარანტია ნამდვილად და არის თუ არა აუცილებელი მისი წერილობითი გაფორმება?

ანგელინა სურმანიძე

პასუხი: კანონის თანახმად, გარანტია ნამდვილად ჩაითვლება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ წესებს ან ზედმეტად არ ავალდებულებს მოვალეს. გარანტია აუცილებლად წერილობით უნდა გაფორმდეს.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

გია, რეზო, ვახტანგ ბერაძეები, ტატა ელიავა, ეკატერინე ბახტაძე მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი სიძის

მანუჩარ ყარაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „აკ. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ექიმ-ნეონატოლოგს ლილი სეხნიაშვილს გარდაეცვალა მეულლე

გეჟან მაღლაფერიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

◎ ერთი შეხვედრის ხიბლი

სოფლის დამფასებელს სოფელიც აფასებს

მთელ საქართველოში დაფასებული კაცია ლეგენდარული იურისტი, ექსპარლამენტარი, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი (რითაც დიდად ამაყობსძ, ბატონი რეზო (სოსოძ ყიფიანი. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ იგი განსაკუთრებით უყვარდეთ მშობელ ოკრიბაში – ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთში, რაც, უპირველესად, თავად ბატონი რეზოს პიროვნულმა თვისებებმა განაპირობეს. ეს კაცი, რომ იტყვიან, ცოცხლობს სოჩხეთით და სოჩხეთელებით, სუნთქავს თავისი სოფლის კედელ-ყორეთი და, რაც შეუძლია, ყურადღებასაც არ აკლებს სოჩხეთს, საერთოდ, ტყიბულის რაიონს, რომლის მაჟორიტარი დეპუტატიც იგი იყო საქართველოს პარლამენტში.

ჰოდა, აბა, რეზო ყიფიანის გარეშე როგორ ჩაივლიდა შეხვედრა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის 207-ე საჯარო სკოლაში გაიმართა? საქმე ის არის, რომ ამ სკოლასა (დირექტორი – ზურაბ ჩხაიძეძ და ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთის საჯარო სკოლას (დირექტორი – გოდერძი ცნობილაძეძ დამეგობრება განუზრახავთ (ჯერ კიდევ 207-ე სკოლის ყოფილი დირექტორის დემურ ბერიას დროსძ და ეს იყო პირველი შეხვედრა, გაცნობა, საფუძვლის ჩაყრა მომავალი ურთიერთობებისთვის, რაც, დიახაც, მისასალმებელია.

იყო ღიმილი, გულთბილი საუბარი სტუმარ-მასპინძლებისა, ბატონი რეზოს ლაზათიანი მოგონებანი სოჩხეთზე, განვლილ გზაზე... იყო მოსწავლეთა შესანიშნავი მოცეკვავეთა ანსამბლის „ნიკორწმინდის“(ქორეოგრაფი – სპარტაკ კობახიძეძ გამოსვლა, რომლის სოლისტი ნიკა დარსაძე სწორედ იმ დღეს 11 წლისა შესრულდა, როცა მამამისს, ამ მშვენიერი შეხვედრის ერთ-ერთ ორგანიზატორს ომარ დასრაძეს, დამსწრეებმა გულთბილად მიულოცეს. დასასრულ, ცხადია, იყო ციცქა-ცოლიკაურის წვენით დალოცვა ამ კარგი საქმისა, რომელზეც, სხვათა შორის, სოჩხეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გოდერძი ცნობილაძემ, ღირსეული თანასოფლელის სადღეგრძელოს რომ სვამდა, ასეთი რამ გაანდო სუფრის წევრებს: ჩვენი სურვილია, რეზო ყიფიანის სახელი ეწოდოს სოჩხეთის საშუალო სკოლასო. მოიწონა, აიტაცა ეს აზრი მთელმა სუფრამ... სკოლის დირექტორმა თითქოს, ყველას სურვილი გააცხადა უპირველესად კი სოჩხეთელების სურვილი.

ვილენ მარდალეიშვილი

სურათზე: მოცეკვავეთა ანსამბლ „ნიკორწმინდის“ სოლისტი ნიკა დარსაძე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო აცხადებს კონკურსს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად მსურველმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. **განცხადება;**
2. **პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი ასლით;**
3. **ავტობიოგრაფია CV;**
4. **ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;**
5. **განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;**
6. **უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;**
7. **მოკლე სამუშაო გეგმა-პროექტი.**

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოველთვიური სახელფასო სარგო შეადგენს 2480 ლარს (ორიათას ოთხასოთხმოცი).

განმცხადებელმა აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს პირადად 2008 წლის 19 მარტიდან – 2 აპრილის ჩათვლით 10 სთ-დან 17 სთ-მდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა შემდეგ მისამართზე: **ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №49, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე, საკრებულოს აპარატის კანცელარიაში.**

ტელ: 8 249-2-15-29.

◎ ინფორმაცია

უვადო პატიმრობა ემუქრებათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულის ფაქტზე 2 პირი დაიკავეს. ორივე მათგანს ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ აღმოაჩნდა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებულნი არიან 50 წლის აგუსლამ მამედოვი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 50,0981 გრამი „ჰეროინი“ და 29 წლის ელმარ მამედოვი, რომლის ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებულია, 113,7593 გრამი „ჰეროინი“.

მიმდინარეობს გამოძიება. საქმეს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი იძიებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულებს 8-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ნარკორეალიზატორებს – სასჯელი, ნარკომანებს – რეაბილიტაცია

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას გლობალური ფონდის, საქართველოს პარლამენტის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, კოკა ფრუიძის განცხადებით, ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი საგრძნობლად დიდია. მისი თქმით, ნარკოტიკების გავრცელების თვალსაზრისით, სახელმწიფომ მიდგომა უნდა გაამკაცროს, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ნარკოტიკების მომხმარებლებს, ფრუიძის თქმით, ამ შემთხვევაში მთავარი აქცენტი რეაბილიტაციაზე უნდა გაკეთდეს.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივითა და შიდსის, მალარიისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტის მხარდაჭერით, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ნარკოტიკებთან დაკავშირებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ანალიზი და შემდგომი სრულყოფა. ამის შემდეგ კი მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების სრული პაკეტი.

ჯი-ეიჩ-ენი

ბოლო გვერდი

„თანასწორობის ინსტიტუტის“ ხობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ილია წურწუმია პარლამენტის წინ მოშიმშილე ოპოზიციას სოლიდარობას უცხადებს და მეცხრე დღეა, ქუთაისის №2 საპყრობილეში შიმშილობს

◎ რა არ ხდება

ინდოეთში ქალიშვილების დეფიციტია

ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნია ინდოეთის მთავრობას, რომელმაც გადაწყვიტა იმ ოჯახების მატერიალური წახალისება, სადაც ქალიშვილი დაიბადება. როგორც ფიქრობენ, ამით შეიძლება იმ აბორტების შემცირება, მომავალი შვილების სქესის გამო რომ იკეთებენ.

საქმე იმაშია, რომ ინდოეთში ბიჭი მიაჩნიათ ოჯახის მომავალ მარჩენლად, ქალიშვილი კი – ზედმეტ ბარგად. იუნისეფის მონაცემებით, აბორტების შედეგად ინდოეთში ყოველდღიურად იკარგება დაახლოებით 7 ათასი გოგონა.

ჯარიმად – 124 ათასი წითელი ვარდი

ირანელმა ქალბატონმა სასამართლოში უჩივლა თავის ქუნწ ქმარს და მოუგო საჩივარი – 124 ათასი წითელი ვარდი, რომელიც ქმარმა მას 10 წლის განმავლობაში არ აჩუქა სიძუნწის გამო.

ამ 124 ათასი ვარდის ფასია 200 ათასი დოლარი. ქმარმა განაცხადა, რომ არ შეუძლია ერთბაშად ამდენი ფულის გადახდა და ივალდებულა ყოველდღიურად 5 ვარდის დაბრუნება.

სასამართლომ კონფისკაცია გაუკეთა მის ბინას, რაც 64 ათასი დოლარი ღირს და ეს თანხა მას დაეკავება საწინდრის სახით, სანამ ცოლს არ აჩუქებს ყველა ვარდს.

სახიფათო იარაღი

მოდური სიახლე – სასაჩუქრო 5,5 სანტიმეტრის სიგრძის მინიატიურული რევოლვერი შესთავაზა მომხმარებლებს შვეიცარიულმა კომპანიამ. უჟანგავი ფოლადიდან დამზადებული რევოლვერი შემცირებული ასლია ცნობილი „მაგნიმუსი“. დამკვეთების სურვილით იარაღი შეიძლება მოიოჭოს ბრილიანტებით, დაიფაროს ოქროთი. მისი ჩამოკიდება შეიძლება კისერზე ძეწკვით, ან ხელზე – ბრასლეტით, აგრეთვე – ქამარზე. ის ისვრის მინიატიურულ ტყვიებს და შეუძლია ადამიანის კანის დაზიანება 112 მეტრზე. ისე რომ, სანამ ამ „საშიში“ იარაღით ევროკავშირის ქვეყნებში გამოჩნდებით, პოლიციაში უნდა მიიღოთ მისი ტარების ნებართვა.

◎ ინფორმაცია

ოპოზიციონერის არასრულწლოვანი ვაჟი დააკავეს

ერთიანი ეროვნული საბჭოს წარმომადგენლის დავით ლორთქიფანიძის ვაჟი გვიან ღამით დააკავეს.

ამის შესახებ ერთიანი ეროვნული საბჭოდან იტყობინებიან. მათივე ინფორმაციით, დავით ლორთქიფანიძის არასრულწლოვანი ვაჟი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან შელაპარაკების მოტივით დააკავეს და მისმა ახლობლებმა დაკავების შესახებ არაფერი იცოდნენ.

როგორც ერთიანი ეროვნული საბჭოს პრესსამსახურში აცხადებენ, დავით ლორთქიფანიძე ერთიან ეროვნულ საბჭოში სალომე ზურაბიშვილის პარტიას წარმოადგენს.

შეხლა-შემოხლა დევნილებსა და პოლიციას შორის

პოლიციის აკადემიასთან მდებარე დევნილთა საერთო საცხოვრებელში, სადაც ფართის გარკვეული ნაწილი თავისუფალია, გუშინ საღამოს დევნილები შევიდნენ.

გუშინ დილიდან კი, ადგილზე მოგილიზებული იყო გლდანი-ნაძალადევის რაიონული და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. იქვე იმყოფებოდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, აგრეთვე, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები.

პოლიციის თანამშრომლებსა და დევნილებს შორის შეხლა-შემოხლაც მოხდა. დევნილები კორპუსის დატოვებას არ აპირებენ, თუმცა სამართალდამცავები ცდილობენ, მათ იძულებით დაატოვებინონ აღნიშნული კორპუსი.

შიმშილობა საპყრობილეში

„თანასწორობის ინსტიტუტის“ ხობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ილია წურწუმია პარლამენტის წინ მოშიმშილე ოპოზიციას სოლიდარობას უცხადებს და მეცხრე დღეა, ქუთაისის №2 საპყრობილეში შიმშილობს.

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან.

მათივე ინფორმაციით, წურწუმია „თანასწორობის ინსტიტუტის“ ხობის ორგანიზაციის დაარსებიდან რამდენიმე დღეში, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

ილია წურწუმია რამდენიმე დღის წინათ დასავლეთ საქართველოში სახალხო დამცველის რწმუნებულმა მადონა გასილაძემ მოინახულა. პატიმარი აცხადებს, რომ იშიმშილებს მანამ, ვიდრე პარლამენტის წინ ოპოზიციის საშიმშილო აქცია არ შეწყდება, – აცხადებს მადონა გასილაძე.

პროკურორების უსულგულობის გამო – წელიწადნახევარი ციხეში

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, გენერალურ პროკურორს, ეკა ტყეშელაშვილს მცხეთის რაიონის გამომძიებლისა და პროკურორთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე რეაგირებას სთხოვს.

საქმე ეხება იგოეთის მკვიდრის ნუგზარ ჩადუნელის უკანონო დაპატიმრებას, რომელსაც ბრალი ყაჩაღობის მუხლით წაუყენეს და სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით მიუსაჯა.

ნუგზარ ჩადუნელის ადვოკატმა სასამართლო განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ერთობლივი მასალების ანალიზის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე ნარა გიგიტაშვილმა ნუგზარ ჩადუნელის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი და იგი სასამართლო სხდომის დარბაზიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლა.

მცხეთის რაიონის გამომძიებელმა და პროკურორებმა სათანადოდ არ შეისწავლეს მასალები, რის გამოც, უდანაშაულო ადამიანმა წელიწადზე მეტი საპყრობილეში გაატარა,– აცხადებს სუბარი.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

რეკლამა *კოსტავას 12*

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

◎ ანეკდოტები

აბანოს მუშაობის განრიგი:

– ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს შედიან კაცები;

– სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს შედიან ქალები;

– კვირას ყველანი გამოდიან.

* * *

ფირმის დერეფანში ორი ელექტრიკოსი დგას და კედელს უყურებს.

– ეს რა სადენია? საიდან მოდის? სად მიდის? – კითხულობს ერთი.

– რას იკლავ თავს მარჩიელობით. გადავჭრათ და ვნახოთ, პირველი ვინ იყვირებს.

* * *

კაცები თვლიან, რომ ქალებს რაც უფრო დიდი მკერდი აქვთ, მით უფრო ნაკლები ტვინის პატრონები არიან. მე ასე არ ვთვლი. ვფიქრობ, ყველაფერი პირიქითაა. უკვე რამდენჯერ დავრწმუნდი, რომ რაც უფრო დიდი მკერდი აქვთ ქალებს, მით უფრო ნაკლები ტვინი რჩებათ მათ გარშემო მოტრიალე მამაკაცებს.

◎ კადრი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

№ 51. ოთხშაბათი, 19 მარტი, 2008 წელი.